პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა
8
აგვისტო
1937 წ.
№ 180 (4981)

პარტიის VI ყრილობამ, რომელიც ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მოახდინა პარტიის მობილიზაცია შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოვებლად.

ქართული ბიბლიოთეკა

მეექვსე ყრილობა

ოცი წლის წინათ, 26 ივლისს (ძველი სტილით), რევოლუციურ პეტროგრადში შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის მეექვსე ყრილობა. სოციალიზმისათვის გმირულ ბრძოლაში მას განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ეს ოქტომბრისწინა ყრილობა იყო. მან დარაზმა პროლეტარიატის ბოლშევიკური ავანგარდი კაცობრიობის ისტორიის უდიდესი აქტის — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის — მოსახდენად. მისი ხმა მშრომელთა მილიონებისათვის მოწოდების საყვირად გაისმა. გავიდა სამი თვე ყრილობის შემდეგ, და ბურჟუაზიულ ბატონობის ნანგრევებზე იშვა მუშათა კლასის დიქტატურა. ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს ახალი ცხოვრების განთიადი დაუდგა.

ყრილობა რევოლუციის ფრიალო გადასაველზე ხდებოდა. ივლისის დემონსტრაციის განადგურების შემდეგ ბურჟუაზიამ თავი წამოსწია. ბურჟუაზიის ლაქიები და ხელშემწყობნი — ესერ-მენშევიკები მოღალატეობის საშინელ საზღვრებამდე მივიდნენ. ასობით და ათასობით რევოლუციური მუშები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, გლეხები ჩაყრილ იქნენ საპყრობილეებში. დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთების რედაქციები და სტამბები, მათ შორის „პრავდისაც“. ლენინის მიმართ ბინძური ჯაშუშურ-პროვოკატორული ცილისწამება შეიქნა საბაბი ბრძანებისა მისი დაპატიმრების შესახებ. ნევის პროსპექტზე სპეკულანტთა ხროვა და ზურგის ოქროსხვარნიანი გმირები თავს ესხმოდნენ ყველა მუშასა და ჯარისკაცს, რომელიც კი გაბედავდა ხმის ამაღლებას მძარცველური ომის წინააღმდეგ, ლენინის გამოსაქომაგებლად. „რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა, დადგა არამშვიდობიანი პერიოდი, შეტაკებებისა და აფეთქებების პერიოდი...“ (სტალინი).

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხუთი თვის ბატონ-პატრონობამ შემაძრწუნებელი ნაყოფი მოიტანა. იმპერიალისტური ომი დანაშაულებრივად ჭიანურდებოდა. ჩვენს ქვეყანაში ყოვლდღე იზრდებოდა რღვევა და დაშლა. ტრანსპორტის მოშლამ ძირი გამოუთხარა კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის, ქვეყნის ოლქებსა და რაიონებს შორის. შიმშილის გაძვალტყავებული ხელი, რომელიც ბურჟუაზიას უნდოდა ყელში წაეჭირა რევოლუციური მასებისათვის, უკვე აღმართული იყო ქვეყნის წინააღმდეგ. კაპიტალისტებს თვითონაც არ სჯეროდათ თავისი ხელისუფლების სიმტკიცე. ისინი საბოტაჟს უწევდნენ წარმოებას, ხურავდნენ საწარმოებს, საშუალებებს საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ. მთავრობა იცავდა მემამულეთა მიწას გლეხებისაგან, ფაბრიკებსა და ქარხნებს მუშათა კონტროლისაგან, მხლიკვიდაცია უყო ჯარისკაცთა რევოლუციურ მონაპოვრებს. ეკონომიური კატასტროფა საშინელი სისწრაფით ახლოვდებოდა.

მეექვსე ყრილობამ მანიფესტით მიმართა „რუსეთის ყველა მშრომელთ, ყველა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს“. მანიფესტში ნათქვამი იყო: „... კონტრრევოლუცია ადრე ზეიმობს თავის გამარჯვებას. დამშეულთ ტყვია ვერ გააძლობს. დედებისა და ცოლების ცრემლებს ყაზახის მათრახი ვერ მოსწმენდს. ტანჯვა-წამების ზღვას ქამანდი და ყუღფი ვერ ამოაშრობს. ხალხებს ხიშტი ვერ დაამშვიდებს, გენერლის შეყვარება მრეწველობის ნრგევას ვერ შეაჩერებს“.

კონტრრევოლუციის ზიარი ხანგძლივი არ იყო. მაგრამ მან მასებს საგნობრივი გაკვეთილი მოუტანა. ისინი თვალნათლივ დარწმუნდნენ, თუ ვის ხელშია ძალაუფლება. მათ ნათლად დაინახეს, სად არის მტერი, სად — მოყვარე. ამბოხჭრდა ხალხის აღშფოთების ტალღები. გაბზარდა გაფიცვები საწარმოებში, გლეხების მიერ მიწების დატაცება, ჯარისკაცთა აჯანყებები. ბოლშევიკების გავლენა საბჭოების ძირეულ ორგანიზაციებში დღითიდღე იზრდებოდა. ახალი სახელწოდებებით აღორძინდა ბოლშევიკური გაზეთების მეტი ნაწილი. აპრილის კონფერენციის შემდეგ განვლილ დროის მანძილზე პარტიის წევრთა რიცხვი ერთისამად გაიზარდა, ორჯერ უფრო მეტად გაიზარდა მისი ორგანიზაციების რაოდენობა.

პიტერის პროლეტარიატმა ბოლშევიკურ ყრილობას სოლიდარობისა და მხარდაჭერის რკინის კედელი შემოავლო. ფაბრიკა - ქარხნების, პოლკებისა და პროფკავშირების მგზნებარე მისალმებანი განუწყვეტელ ნაკადად მისდიოდა ყრილობის პრეზიდიუმს, ბოლშევიკური გაზეთების რედაქციებს. წითელი დედაქალაქის მუშურ რაიონებში — ვიბორგის მხარეზე, ნარვის ზასტავას იქით — ბოლშევიკების მიერ გაგზავნილებმა გამოსჭედეს ყველაზე უდიდესი რევოლუციის ძლევამოსილი გეგმა.

ლენინი ყრილობაზე არ ყოფილა. სალგურ რაზლივის მახლობლად იგი ქოხში ემალებოდა კერენსკის პოლიციის მაძებრებს, რომელთაც ჰქონდათ აშკარა დავალება გაეგლიჯათ იგი. იქ, თივის ზვინთან, აღნენებდა იგი პოლიტიკური ვითარების გენიალურ ანალიზს. გამოცდილი ადამიანების საშუალებით მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამხანაგ სტალინთან და საჭირო რჩევებს აძლევდა. ლენინის საქმე, ლენინური მიზანდასახულობანი გაჰყვადა ყრილობაზე მის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს ამხანაგ სტალინს.

ყრილობა წინააღუდგა ლენინის გამოცხადებას ბურჟუაზიის სასამართლოში. მან დაჰგმო პროვოკაციული მოთხოვნა რევოლუციის ბელადის გაცემისა მისი მოსისხლე მტრებისათვის. ყრილობამ მთლიანად დაადასტურა ამხანაგი სტალინის პოზიცია, რომელიც მან ივლისის დემონსტრაციის განადგურებისთანავე დაიკავა. ყრილობაზე ორივე ძირითადი მოხსენება — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ — ამხანაგმა სტალინმა გააკეთა. მისი მოხსენებები და სიტყვები, რომლებმაც განსაზღვრეს ყრილობის მუშაობა და ყველა გადაწყვეტილება, გამსჭვალული ლენინის სულით, მისი იდეებით, მისი პირდაპირი კონკრეტული მითითებებით.

ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციამ პარტიის წინაშე გაშალა ნათელი პერსპექტივა ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდისა სოციალის ტურში. მეექვსე ყრილობამ პარტია გაამზადა შეიარაღებული აჯანყებისაკენ ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად და მუშათა კლასის დიქტატურის დასამყარებლად.

ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობა ყოველთვის განირჩეოდა ყოველ ოპორტუნულ ეტაპზე მასებისათვის იმ ლოზუნგის მიცემის უნარით, რომელიც ახდენს მათი ენერგიის და ნებისყოფის მობილიზაციას, მკაფიოდ სახავს უახლოეს მიზანს. გარემოება შეიცვალა, დროებითი მთავრობისა და საბჭოების ორხელისუფლებიანობა ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობამ შესცვალა. რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობანი გაჭრა. ბურჟუაზიის ხელიდან ძალაუფლების ძალით გამოგლეჯა შეეძლო მხოლოდ პროლეტარიატს უღარიბეს გლეხობასთან ერთად.

ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, რომელიც რევოლუციის წინა ეტაპზე სწორი იყო, ახლა მასებში შეეძლო დაეთესა ილუზია, თითქოს საკმარისია საბჭოებმა მოიპყრონ, და მთელი ძალაუფლება მშვიდობიანი გზით მათ ხელში აღმოჩნდებაო. მეექვსე ყრილობამ მოსსნა ეს ლოზუნგი, რაც სრულებითაც არ ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას. პირიქით, ამხანაგმა სტალინმა ყრილობაზე განსაკუთრებული სიცხადით და გარკვეულობით დააყენა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაციის ამოცანა. აიღო რა მტკიცე კურსი მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობისაკენ, ყრილობამ დასახა პროგრამა პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისაკენ.

„ჯერდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი ყრილობაზე, — რომ მხოლოდ ევროპას შეუძლიან მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატიური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ

სსრ კავშირის შორეულ-აღმოსავლეთის საზღვართა სადარაჯოზე

1929 წლის ექვსი აგვისტო ისტორიული დღეა, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის დაბადების დღე. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარმა ამხ. ვოროშილოვმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო:

„1. ამჟამად შორეულ-აღმოსავლეთის ტერიტორიაზე არსებული მთელი შეიარაღებული ძალები გაერთიანებულ იქნეს არმიად და მიეკუთვნოს მას სახელწოდება „შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია“.

2. „შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის სარდლად დაინიშნოს ამხ. **ბლიუხერი.**

3. ამხ. **ბლიუხერი** დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის მოვალეობათა ასრულებას.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და სსრ კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე **ვოროშილოვი**“.

ათასობით დეპეშებითა და წერილებით, რომლებშიც თხოულობდნენ არმიაში ჩარიცხვას, მიესალმა ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული არმიის შექმნას.

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა საბჭოთა საზღვრების დამრღვევებს და მას შემდეგ იგი გრანიტის კლდესავით დგას საბჭოთა კავშირის შორეულ-აღმოსავლეთის საზღვართა სადარაჯოზე.

1930 წლის 1 იანვარს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის დაჯილდოება მაღალი საბრძოლო რევოლუციური ჯილდოთი — წითელი დროშის ორდენით — პროლეტარული რევოლუციისადმი თავდადებული ერთგულებისათვის, რაც მისმა ჯარებმა გამოიჩინეს საბჭოთა შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრების დაცვის დროს.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელ არმიას. 1931 წელს 20 ივლისს შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელ არმიას ეწვია ამხ. ვოროშილოვი. საყვარელი სახალხო კომისრის მისვლამ ენტუზიაზმის უდიდესი ტალღა გამოიწვია. ამ დაუვიწყარ დღეებში ასობით მეომრები შეუდნენ პარტიასა და კომკავშირში.

შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის რიგებში იზრდებიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. ძალლონეს დაუზოგავად ამაგრებენ ისინი საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებს, იჩენენ რა გმირობას, სიმამაცეს, ვაჟკაცობას.

როდესაც ამხანაგმა სტალინმა წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა სტახანოველთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელ არმიაში დაიწყო მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ენტუზიაზმის არაჩვეულებრივი აღმავლობა. განსაკუთრებული არმიის მიერ აღზრდილმა ადამიანებმა არაერთხელ დაგვანახვეს, რომ ისინი საბრძოლო მომზადების ფრიადოსნები არიან.

1936 წლის 25 ნოემბერს გაწვეკუთრებული არმია ისმენდა ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის მოხსენებას საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო ყრილობაზე.

ამ დროს და მეორე დღეს მოწდა მესაზღვრეთა გმირული შეტაკება იაპონელ-მანჯურთა შეიარაღებულ ბანდასთან, რომლებიც საბჭოთა ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ტური როგის რაიონში ხანკის ტბასთან. ამ შეტაკებაში სასიკვდილოდ დაიჭრა სამშობლოს სახელოვანი შვილი სემიონ ლაგოდა, რომელიც 19 დეკემბერს გარდაიცვალა.

ყოველგვარი მოულოდნელი და პროვოკაციული შემთხვევებისათვის მომზადებულებმა საბჭოთა სახელოვანმა მესაზღვრეებმა, როგორც ყოველთვის გამანადგურებელი დარტყმით უპასუხეს იაპონელ მილიტარისტთა გამოლაშქრებას.

განსაკუთრებული არმია უდიდეს აღფრთოვანებით შეხვდა სტალინურ კონსტიტუციას. მატინგები, კრებები, საუბრები ჩატარდა ყველგან, სადაც კი ცხოვრობენ, სწავლობენ და საზღვრებს იცავენ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის მეომრები. დაჭრილმა მეომრებმა — ხანკის მესაზღვრე რაზმის მესაზღვრეებმა წერილით მიმართეს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

„შენი სახელი ეწერა დროშას, რომლითაც დავიწყეთ ბრძოლა მოწინააღმდეგეებთან, რომელიც ლამობდა საბჭოთა მიწა-წყალზე შემოპარვას“ — სწერდნენ მესაზღვრეები.

იაპონელი მილიტარისტები ყოველთვის ომის პროვოკაციას უწევენ დიად საბჭოთა კავშირს, მაგრამ ომის გამჩაღებელთა ეს პროვოკაციები მუდამ იმსხვრევა საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობის მტკიცე, თანმიმდევარ პოლიტიკაზე, რომელიც ემყარება მამაცი წითელი არმიისა და მისი სახელოვანი რაზმის — შორეული-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის ურყევ ძლიერებას.

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის მე-წ წლისთავის დღეს მისი მეომარნი, მეთაურნი და პოლიტმუშაკნი ფიცს სდებენ სამშობლოს წინაშე ყურმახვილად იდგნენ სოციალიზმის ქვეყნის შორეულ-აღმოსავლეთის საზღვართან სადარაჯოზე, ყოველნაირად გააძლიერონ თავისი სიფხიზლე. შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმია, რომელიც ირმა ქმაყოფილებით შეხვდა უზენაესი სასამართლოს განაჩენს ჯაშუშების ტუხაჩევსკის, იაკირის და იაპონია-გერმანიის ფაშიზმის სხვა აგენტთა საზიზღარი ბანდის შესახებ, ფიცს სდებს, რომ მომავალშიაც დაუნდობლად გაანადგურებს საერთაშორისო ფაშიზმის დაქირავებულ აგენტებს, სამშობლოს მოღალატეებსა და გამცემებს, გაანადგურებს ყველა მტერს. და თუ ომის საშიშარი გამჩაღებლები გაბედავენ აღმართონ ხელი მთელი საბჭოთა კავშირის წმიდათაწმიდა საზღვრების წინააღმდეგ, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმია გაანადგურებს მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზე.

ხაბაროვსკი, 3 აგვისტო.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) VI ყრილობის მანიფესტიდან

რუსეთის ყველა მშრომელს, ყველა მუშას, ჯარისკაცებსა და გლეხებს!

ამხანაგებო!

ხუთმა თვემ განვლო იმ დროიდან, რაც რევოლუციურმა პროლეტარიატმა და ჯარებმა დაამხეს მთვრახისა და ჯოხის ბატონობა და ნიკოლოზ რომანოვი საპყრობილეში გამოჰკეტეს. მუშამ აიყარა ბორკილი, რომელიც მას პოლიციურმა წესწყობილებამ დაადო. ჯარისკაცი თავისუფალი მოქალაქე გახდა.

რევოლუციურ მებრძოლთა წინ პროლეტარიატი მიდიოდა. მის საბრძოლო მოწოდებად იქცა: მოწოდება: „გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციას!“.

საერთაშორისო კაპიტალმა ამ მოწოდებაზე უპასუხა შეთქმულებით რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუცია მისთვის ნიშნავდა იმპერიალისტური ფრონტის გარღვევას. რუსეთის რევოლუცია იმუქრებოდა მსოფლიო აჯანყების ხანძრის დანთებას, კაპიტალის ბატონობის შერყევასა და დამსხვრევას, ოქროს კერპის დამხობას. ბირჟის საერთაშორისო მგლებისა და ბანკების მესვეურებისათვის მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ამოცანა: რაღაც უნდა დასჯდომოდათ, ჩაებზოთ რუსეთის რევოლუცია, დაეხვრიათ მისი ძალები, თავი მოეკვეთნათ საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, ამოეჟლეტნათ მისი პარტია.

მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი და მისი პარტია, რომლებსაც მხარს უჭერდნენ უღარიბესი გლეხები და ჯარისკაცები, სტეხდნენ განგაშს. პროლეტარული სოციალიზმის პარტია, საერთაშორისო რევოლუციის პარტია განუხრელად და თანმიმდევრობით ჰგლეჯდა მშვიდობისმოყვარულთა ცრუ ნიღაბს იმპერიალიზმის მტაცებლებს. იგი დაშარავებდა ბურჟუაზიის ყველა ხრიკებს, იგი აკრიტიკებდა მენშევიკურ-ესერული ტაქტიკის ლაჩრულობას, გაუბედაობასა და უმწეობას. იგი მთელი დაჟინებით მოითხოვდა ძალაუფლების გადასვლას დემოკრატიის ხელში, გათიშვას ყველა ქვეყნის კაპიტალისტებთან, ყველა საიდუმლო ხელშეკრულების გამოქვეყნებას, რომლებსაც ხალხს უმალავდნენ. იგი მოითხოვდა მიწების დაუყოვნებლივ გადასვლას გლეხების ხელში, მუშათა კონტროლს წარმოებაზე, საყოველთაო ზავს, დადებულს თვით ხალხების მიერ. „ბური, ზავი, თავისუფლება“, — ეწერა მის წითელ დროშაზე.

მსხვილი ბურჟუაზია აქეზებდა კრიზისს, აძლიერებდა ანარქიას, საწარმოთა დახურვით, წარმოების დეზორგანიზაციით. ომისაგან გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის ნანგრევებზე, ცრუცხვ წვრილ გაღატაკებულ მეპატრონეთა ძვლებზე აფთრები მსხვილი კაპიტალისა, — რომელიც იჯგარაზე ხარბად ჰქაჩავდა საარაკო მოგებას და სპეკულაციას ეწეოდა გაღატაკების გზაზე დამდგარი მასების შიმშილობაზე, — მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევის თავქედურ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ქვედა ფენებში იზრდებოდა ყრუ უკმაყოფილება და აღშფოთება კაპიტალისა და მისი მინისტრების წინააღმდეგ. უფროდაუფრო მძლავრად ისმოდა შრომის მილიონიანი არმიების დრტვინვა.

მათ უპასუხეს შეტევის პოლიტიკით.

ესერებმა და მენშევიკებმა მოიწონეს შეტევის პოლიტიკა და მით გასცეს საკუთარი თავი და რევოლუცია. გადასცეს რა ძალაუფლება კონტრრევოლუციას და უღალატეს რა რევოლუციას, მეშჩანობის ბელადები ესერები და მენშევიკები დასტურს სცემდნენ მთავრობის თითქმის ყველა კონტრრევოლუციურ ღონისძიებას.

მუშაობენ ისტორიის მიწისქვეშა ძალები. ხალხთა მასების უდიდეს სილრმეებში იზრდება ყრუ უკმაყოფილება. გლეხებს ესაჭიროებათ მიწა, მუშებს ესაჭიროებათ პური, ერთთაც და მეორეთაც ესაჭიროებათ ზავი. მთელს დედამიწის ზურგზე გამოჩნდნენ ქარიშხლის მაუწყებელი ნიშნები.

ამ შეტაკებაში ჩვენი პარტია გაშლილი დროშებით მიდის. მას მტკიცედ ეჭირა ისინი თავის ხელში. მას ისინი არ დაუხრია მოძალადეთა და ბინძურ ცილისმწამებელთა წინაშე, რევოლუციის მოღალატეთა და კაპიტალის მსახურთა წინაშე. მას ისინი კვლავაც მაღლა ეჭირება, იგი იბრძოლებს სოციალიზმისათვის, ხალხთა ძმობისათვის. ვინაიდან მან იცის, რომ მოდის ახალი მოძრაობა და დგება ძველი ქვეყნის სიკვდილის ჟამი.

მაშ ეშზადეთ ახალი ბრძოლებისათვის, ჩვენო მებრძოლო ამხანაგებო! მტკიცედ, მამაცურად და დამშვიდებით, პროვოკაციაზე წამოუგებლად, იგროვეთ ძალები, დაეწყეთ საბრძოლო რაზმეულებად. პარტიის დროშის ქვეშ, პროლეტარებო და ჯარისკაცებო! ჩვენი დროშის ქვეშ, სოფლელო ჩაგრულებო!

გაუმარჯოს რევოლუციურ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს მუშებისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო მუშურ რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიას (ბოლშევიკებს)!

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მეექვსე ყრილობა.

1917 წ. 25-12 აგვისტო.

შენიშვნა ედიტორისა.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

5 აგვისტოს რესპუბლიკურმა ნაწილებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ახდალუზიის გზაზე.

გვადალახარის სექტორში რესპუბლიკელებმა ბრძოლით დაიკავეს და გაიმაგრეს რამდენიმე მაღლობი.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

სასტიკი ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკურმა ნაწილებმა დაიკავეს ფრიას და ალბარასინი. მეამბოხეებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, ბევრი მოუკლეს და ტყვედ წაიყვანეს. ხელთ იგდეს საკმარი მასალის მნიშვნელოვანი მარაგი.

ესპანის სააგენტოს სამხედრო კორესპონდენტები არაგონიის ფრონტზე იუწყებიან, რომ რესპუბლიკელების მიერ სოფელ რუდილიას (21 კილომეტრზე კალამოჩის ჩრდილოაღმოსავლეთით) აღება გააადვილა მეამბოხეთა ჯარების დემორალიზაციამ. როდესაც რესპუბლიკელთა ჯარისკაცები შევიდნენ სოფელში, მათ თეთრი ალმით შეეგება სამოქალაქო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც იყვნენ მეამბოხეთა ჯარის დეზერტირებიც. მეამბოხეებმა, რომლებიც არ მოელოდნენ რუდილიაში რესპუბლიკელთა იერიშს, თავი მოუყარეს იქ სურსათისა და სამხედრო საჭურველის დიდ მარაგს. სხვათაშორის, რესპუბლიკელებს დარჩათ 300 სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ჩრდილოეთის ფრონტი

ესპანის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეებმა დაიწყეს ესპინოსა დე ლოს მონტეროსის, კვისედოს და სხვა სოფლების ევაკუაცია, რომლებიც მდებარეობენ რესპუბლიკელთა მოწინავე პოზიციების ახლოს.

ესპანის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელმა მეთვალყურეებმა გამოარკვიეს, რომ მეამბოხეები თავიანთ ჯარებს თავს უყრიან ასტურიის ფრონტზე.

○

შეამბოხეთა ოთხმა თვითმფრინავმა 5 აგვისტოს ყუმბარები დაუშიხა სავუნტოს რაიონს, 30 კილომეტრის მანძილზე ვალენსიის ჩრდილოეთით. მსხვერპლთა რაოდენობა ჯერ არის გამორკვეული.

აღვარეს დღე ვაიოს სიწყვა ჩაღიოთი

ვალენსია, 5 აგვისტო (საქდესი). გენერალური სამხედრო კომისარიატის რადიოსადგურის „ესპანეთის ხმის“ გახსნის გამო გენერალურმა სამხედრო კომისარმა ალვარეს დელ ვაიომ მიკროფონთან წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეამბოხეთათვის ზურგში წინააღმდეგობის გაწევის პროპაგანდას. მან აღნიშნა, რომ მეამბოხეთა ზურგში არიან ასიათასობით ანტიფაშისტები, რომლებიც მხოლოდ უხეში ძალით ჰყავთ მორჩილებაში. დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა გამოქცეულს, ვიდრე რესპუბლიკის მხარეზე გადმოვიდოდა წაუკითხავს რესპუბლიკური ფურცლები და მოუსმენია იმ ხმაურიანი მოლაპარაკებით გადაცემა, რომლებიც მთავრობის ნაწილთა მოწინავე პოზიციებზეა. რესპუბლიკელთა აგიტატორები მუშაობენ მეამბოხეთა ცეცხლის ქვეშ. ცნობები, რომელთაც ხმაურიანი მოლაპარაკებით გადასცემენ, ფაშისტთა რიგებში, ხან დიდ ეჭვებს იწვევენ, ხან კი — აღტაცებას.

უკანასკნელი ხნის ბრძოლებში, აღნიშნა შემდეგ ალვარეს დელ ვაიომ, დაიღუპა 100-ზე მეტი პოლიტიკური კომისარი. პოლიტიკური კომისრები გმირულად იბრძვიან.

გენერალ მიახას განცხადება ჟურნალისტებთან

პარიზი, 5 აგვისტო (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იტყობინება მადრიდიდან, გენერალმა მიახამ ჟურნალისტებთან საუბარში შეაჯამა შედეგები რესპუბლიკელთა ოპერაციებისა, რომლებიც უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე სწარმოებდა სიერა გვადარამის სექტორში. მიახამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკელთა ჯარებმა, დაიკავეს რა ბრუნეტე, კოზორნა, ვილა ნუევა დელა კანადა და ვილანუევა დელ პარდილიო, ცხადჰყვეს თავისი შეტევის მთელი ძლიერება. თუმცა მეამბოხეებმა შემდეგ დაიკავეს ბრუნეტე, სთქვა მიახამ, მაგრამ მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს და ამით გაიუმჯობესეს პოზიციები. მეამბოხეებმა დაჰკარგეს 20 ათასზე მეტი კაცი. რესპუბლიკელებმა ტყვედ წამოიყვანეს 2 ათასამდე კაცი და ჩამოაგდეს მეამბოხეთა მრავალი თვითმფრინავი.

რესპუბლიკელთა შეტევის შედეგად, აღნიშნა მიახამ, შესაძლებელი გახდა ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მეამბოხეთა წინსვლის შეჩერება, რამაც საშუალება მისცა რესპუბლიკელებს მოეხდინათ თავისი ჯარების რეორგანიზაცია ჩრდილოეთის ფრონტზე. გარდა ამისა, ცენტრალურ ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარების ოპერაციების მეოხებით მეტად შესუსტდნენ სხვა ფრონტებზე შეტევისათვის განკუთვნილი მეამბოხეთა ძალები.

ასპურიის ნავსაღგურები დაცულია

ლონდონი, 4 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ასტურიის ხელისუფალნი აცხადებენ, რომ ასტურიის ყველა ნავსადგურს იცავენ ესპანური ბატარეები და რომ მთავრობის ავიაცია ახლოს არ უშვებს მეამბოხეთა სამხედრო გემებს.

ცაკის 10 ივლისის დადგენილებით ჟურნალი „კომუნისტი“ გადაკეთებულია ორ ჟურნალად: „ბოლშევიკი“ და „კომუნისტი“.

საქართველო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 6 აგვისტო (საქდესი). 4 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ. მ. ლიტვინოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბატონმა ჯოზეფ დევისმა გაასცვალეს ნოტები სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ურთიერთობის საკითხზე. ნოტების გაცვლა ითვალისწინებს უცილობელი და განუსაზღვრელი უმეტესი მფარველობის გამოყენებას ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა საქონლის იმპორტისადმი და სსრ კავშირში ამერიკის საქონლის ექსპორტის პირობებისადმი. ნოტების გაცვლა ძალაში შედის დღიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ მისი პროკლამირებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებისა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 6 აგვისტოს დაამტკიცა ნოტების მოხსენებული გაცვლა, იმავე დღეს ნოტების გაცვლა პროკლამირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონ რუზველტის მიერ. ამგვარად, ნოტების გაცვლა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ძალაში შევიდა 1937 წლის 6 აგვისტოდან.

მასები საიუბილეოდ ემზადებიან

ფურცელი ისტორიიდან

„დასრულდა ციკლი რუსეთში კლასობრივი და პარტიული ბრძოლის განვითარებისა 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე. — სწერდა ლენინი თავის სტატიაში „ლოზუნგებისათვის". — იწყება ახალი ციკლი, რომელშიც შედიან არა ძველი კლასები, არა ძველი პარტიები, არა ძველი საბჭოები, არამედ ბრძოლის ცეცხლით განხლებულნი, გამობრძმედილნი, ნასწავლნი, ბრძოლის მსვლელობით გარდაქმნილნი. უნდა ვიცქიროთ არა უკან, არამედ წინ. უნდა გამოვიყენოთ არა ძველი, არამედ ახალი, ივლისის შემდგომი, კლასობრივი და პარტიული კატეგორიები".

ივლისის დღეების შემდეგ კონტრრევოლუცია მაღლა სწევს თავს. იგი ატარებს მხეცურ ტერორს და სდევნის პროლეტარიატის პარტიას — ბოლშევიკებისას; იგი ყველა ღონეს ხმარობს, რათა გაახადგუროს მუშათა კლასი და გლეხური მოძრაობა, მაგრამ თავისი მოქმედებით იგი აღწევს საწინააღმდეგო შედეგს. ტეროროის პოლიტიკაზე მუშები უპასუხებენ ბრძოლის გაძლიერებით. მარტო მოსკოვის გუბერნიაში ივლისსა და აგვისტოში საფაბრიკო ინსპექციის მიერ რეგისტრირებული იყო 33 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 13.218 მუშამ. დონბასში მაღაროელთა გაფიცვებმა საყოველთაო გაფიცვის ხასიათი მიიღეს. გაფიცვის ტალღა მოედო მთელს ქვეყანას. ქალაქებში მუშათა მოძრაობასთან ერთად იზრდებოდა გლეხური მოძრაობა. მარტში აგრარული მოძრაობა მოდებული იყო 34 მაზრაში, ივლისში — 325. მასების რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე იზრდებოდა. მასებში იზრდებოდა და მტკიცდებოდა ბოლშევიკების პარტიის გავლენა.

22 ივლისს პუტილოვის ქარხნის 10 ათასმა მუშამ განაცხადა პროტესტი ბოლშევიკების დაპატიმრებათა და მუშური გაზეთების დახურვის წინააღმდეგ, მუშათა და ჯარისკაცთა ორგანიზაციების დარბევის წინააღმდეგ. პუტილოველთა რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჩვენ ვაცხადებთ: რევოლუციის ყველა მონაპოვარს საფრთხე მიეკარა. რევოლუციის ხსნა შეიძლება მხოლოდ რევოლუციურ ლონისძიებათა ცხოვრებაში გატარების გზით... ერთადერთ ძალას, რომელსაც შესწევს უნარი შეასრულოს ეს დიადი ამოცანა, წარმოადგენენ ქალაქისა და სოფლის პროლეტარები, და ნახევრად-პროლეტარები, და მხოლოდ ისეთი მთავრობა, რომელიც დაეყრდნობა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, რომელიც ნამდვილად იქნება რევოლუციის ხსნის მთავრობა".

იმავე დღეს, 22 ივლისს, პეტროგრადში შესდგა საფრანგეთ - რუსეთის ქარხნის მუშათა საერთო კრება, რომელსაც 3000 კაცზე მეტი დაესწრო. ამ კრებამ, მოისმინა რა საბჭოების წევრის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, მკაცრად გააკრიტიკა მენშევიკური საბჭოების შემთანხმებელი პოლიტიკა. მოხსენების შემდეგ გამოვიდა სამი ორატორი: ერთი მენშევიკებისაგან, ერთი სოც.-რევოლუციონერებისაგან და ერთი ბოლშევიკებისაგან. კრებამ ერთხმად მიიღო ბოლშევიკების მიერ შეტანილი რეზოლუცია. მასში ნათქვამია:

„საფრანგეთ-რუსეთის ქარხნის მუშებს ძლიერ აფიქრებთ რევოლუციის ბედიდბალი, მუშათა კლასისა და რევოლუციური არმიის ყველა მონაპოვარი.

რევოლუცია საფრთხეშია. მას უკვე ემუქრება (გამოტოვებულია), და მხოლოდ პროლეტარიატის შეგნებულ ლონისძიებებს, რევოლუციურ არმიასთან ერთად შეუძლიათ იხსნან და უზრუნველჰყონ მისი შემდგომი განვითარება მშრომელი მასების ინტერესებისათვის". („რაბოჩი ი სოლდატ", № 4).

ფაქტები ცხადზე უცხადესად ადასტურებდნენ ლენინის სიტყვებს, რომ „კონტრრევოლუციის გამარჯვება იწვევს მასების იმედგაცრუებას ესერებისა და მენშევიკების პარტიებზე და გზას უხსნის მათ გადასვლას რევოლუციური პროლეტარიატისათვის მხარდაჭერის პოლიტიკაზე".

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ლახტინის ქარხანაში ესერების ინიციატივით მოწვეულ იქნა ქარხნის მუშათა კრება ხელისუფლების კრიზისისა და დროებითი მთავრობიდან ჩერნოვის წასვლის საკითხზე. ესერების მიერ მოწვეულმა ამ კრებამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია.

რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად. ამასთან ესერების წარმომად გენლის მიერ შეტანილმა შესწორებამ მიიღო... 8 ხმა 3000-დან და კრებამ იგი უარჰყო. ეს ერთერთი დამახასიათებელი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა მასების გარევოლუციურების პროცესი, მათი გადასვლა ბოლშევიკების მხარეზე.

კონტრრევოლუციის ივლისის შეტევის შემდეგ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა არმიის დაშლა, იზრდებოდა ჯარისკაცთა მასების აღშფოთება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც გასცა ბრძანება ყველა იმ სამხედრო ნაწილის დაშლის შესახებ, რომელნიც 3-5 ივლისის დემონსტრაციაში იღებდნენ მონაწილეობას.

12 ივლისს მთავრობამ აღადგინა სიკვდილით დასჯა ფრონტზე და შემოიღო სამხედრო სასამართლოები რევოლუციურ ჯარისკაცებთან ანგარიშის გასასწორებლად. გამოიცა ბრძანება ბოლშევიკური გაზეთების დახურვის შესახებ („პრავდა", „ოკოპნაია პრავდა" და სხვ.), მუშათა განიარაღების შესახებ. კონტრრევოლუციამ თავი აიშვა. ინგლისის ელჩი, ბიუკენენი შემდეგ ტყუილად როდი სწერდა თავის მოგონებებში დროებითი მთავრობის საქმიანობის შესახებ:

„პერსპექტივები თუმცა ცუდი იყო, მაგრამ მე მაინც განწყობილი ვიყავი საქმისათვის უფრო ოპტიმისტურად შემეხედნა. მთავრობამ ჩაახშო ბოლშევიკური აჯანყება და, ბოლოს, თითქოს გაბედა მტკიცედ ემოქმედნა".

მაგრამ ვერავითარ ტერორს და „მოქმედების სიმტკიცეს" ვერ შეეძლოთ დროებითი მთავრობის მდგომარეობის გადარჩენა.

„პარტია განსაკუთრებული დაჟინებითა და დაძაბულობით აწარმოებდა მუშაობას საბჭოებში — ამ მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, მტკიცედ ააშკარავებდა ესერ-მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას. ბოლშევიკური ტალღა ავსებდა საბჭოების ქვემო სართულებს და ემუქრებოდა ზემო სართულებსაც. საბჭოების ზედაფენები ხშირად უკვე აღარ გამოხატავდნენ თავიანთ ამომრჩეველთა განწყობილებებს. ქვემოდან მოწოლის წინააღმდეგ წვრილბურჟუაზიული ბლოკის ხელმძღვანელები მიმართავდნენ ერთსა და იმავე ხერხად საშუალებას: ყოველნაირად აჭიანურებდნენ ან აფერხებდნენ არჩევნებს. მაგრამ პარტია მოხერხებულად უვლიდა გვერდს ამ მანევრსაც, ჰქმნიდა თავისთვის დასაყრდენ პუნქტებს რაიონულ საბჭოებში. მაგალითად, მოსკოვში პარტიის VI ყრილობისათვის ათი რაიონიდან ექვსი ბოლშევიკების განუყოფელი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა".

(„სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში", გვ. 303).

პარტია დიდი შეუპოვრობით იბრძოდა მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის. ხდებოდა პროფესიული კავშირების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ბოლშევიზაცია. იზრდებოდა პარტიის გავლენა ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობის კავშირში პარტიის VI ყრილობისათვის ირიცხებოდა დაახლოებით 50 ათასი წევრი. ახალგაზრდობა აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების ლოზუნგებით.

ფაბრიკებში, ქარხნებში, მუშათა უბნებში მუშები და მუშა-ქალები ხარბად მიესმენდნენ ხოლმე გაზეთების დამტარებლებს, რომლებსაც მოჰქონდათ „რაბოჩი ი სოლდატ"-ის ნომრები. რაც უფრო მეტი იყო დევნა, მით უფრო ძვირფასი ხდებოდა მუშისთვის გაზეთი.

— დაე ესერებისა და მენშევიკების ბელადები შეეკითხონ თავისსავე მუშაკებს ადგილებზე, სადაც მათ აცნობებენ, — ამბობდნენ მუშები, — როგორ გარბიან მასები მათი ორგანიზაციებიდან.

„...განა მათ არ იციან, რომ კრონშტადტელმა მეზღვაურებმა, ჯარისკაცებმა და მუშებმა, როდესაც მათ დაუხურეს კრონშტადტის გაზეთი „გოლოს პრავდი", მეორე დღესვე შეჰქმნეს „პროლეტარსკოე დელო". ჭელისინგფორსელებმა, როდესაც დაჰკარგეს „ვოლნა", შეჰქმნეს „პრიბოი", ხოლო რიგელმა მუშებმა და ჯარისკაცებმა „ოკოპნაია პრავდას" ნაცვლად შესძლეს „ოკოპნი ნაბატის" შექმნა და სხვ. და სხვ. ხოლო ჩვენ, პიტერის მუშები და ჯარისკაცები, განა ვერ შევძლებთ ჩვენი „პრავდისა" და „სოლდატსკაია პრავდის" დაცვას! (გამოტოვებულია). ჩვენ, ადგილებზე მომუშავენი, გავაკეთებთ ჩვენს საქმეს, ხოლო მუშები და მეზღვაურები ყაზარმებში თავისას გააკეთებენ.

„პრავდა" და „სოლდატსკაია პრავდა" მოკლულია, გაუმარჯოს „პრავდას" და „სოლდატსკაია პრავდას!"

(„რაბოჩი ი სოლდატ", № 10).

„ამბების მთელი მსვლელობა, — სწერდა ლენინი, — ყველა ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, არმიაში მომხდარი ყველა ამბები უფრო და უფრო სწრაფად ამზადებენ მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის წარმატებას, რომელიც მოგვცემს ზავს, პურს, თავისუფლებას, რომელიც დაიჩარებს პროლეტარიატის რევოლუციის გამარჯვებას სხვა ქვეყნებშიც".

„არ შეიძლება ძალაუფლების საკითხის არც გვერდის ავლა და არც გადადება, ვინაიდან სახელდობრ ეს არის ძირითადი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს **ყველაფერს** რევოლუციის განვითარებაში, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში". (ლენინი, ტ. XXI, გვ. 141-142).

მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ძალაუფლების ხელში აღების საკითხი

„მთავარი ამოცანაა, — ხაზს უსვამდა სტალინი საბოლოო სიტყვაში VI ყრილობაზე, — არსებული ხელისუფლების **დამხობის** აუცილებლობის იდეის პროპაგანდა...

მაშასადამე, საკითხი დგას არა ძალაუფლების ორგანიზაციის შესახებ, არამედ მისი დამხობის შესახებ, ხოლო როდესაც ძალაუფლებას ჩვენს ხელში მივიღებთ, მის ორგანიზებას ჩვენ შევძლებთ".

ბოლშევიკების VI ისტორიულმა ყრილობამ გამოაცხადა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ამ საბრძოლო ამოცანის — ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და ძალაუფლების დაპყრობის — გარშემო დარაზმა პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა.

„ყველა ნიშანი გვიჩვენებს, რომ ამბების მსვლელობა კვლავ ფრიად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, — სწერდა ლენინი, — და ქვეყანა უახლოვდება შემდგომ ეპოქას, როდესაც მშრომელთა უმრავლესობა იძულებული იქნება თავის ბედიდბალი რევოლუციურ პროლეტარიატს მიანდოს". (ტ. XXI, გვ. 63).

ლენინის სიტყვები განხორციელდა. მშრომელმა მასებმა თავისი ბედიდბალი მიანდეს რევოლუციურ პროლეტარიატს და მის ავანგარდს — ლენინურ-სტალინურ პარტიას. დადგინდა ერთ მეექვსედზე საბჭოთა კავშირი, კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადაყვანილია 49 კაცი, მათ შორის 12 კომკავშირელი.

სოხუმის რაიპარტორგანიზაციაში კომკავშირელებიდან პარტიის კანდიდატად მიღებულია მხოლოდ 1 კაცი, გაგრის რაიპარტორგანიზაციაში — 3 კაცი, ხოლო გუდაუთის რაიპარტორგანიზაციაში არ არის მიღებული არც ერთი კომკავშირელი.

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში კომკავშირელთა ჩაბმის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გამოტანილ დადგენილებათა შესაბამისად — საოლქო კომიტეტის ბიუროს წინადადება მისცა პარტკომებს სოხუმის საქალაქო კომიტეტს, რაიკომებს და საქ. ალკ. საოლქო კომიტეტს ფართოდ გაშლილ მუშაობა, რათა პარტიის რიგებში ჩაბმან საუკეთესო, პოლიტიკურად შემოწმებული, პარტიისა და ხალხის მტრებთან ბრძოლაში გამოწრთობილი აქტივისტი კომკავშირელები.

მისალმება პარტიის VI ყრილობის

ჩვენ, პუტილოვის ქარხნის მუშები, რომლებიც შევიკრიბეთ საერთო მიტინგზე გქვსი ათასი კაცის რაოდენობით, ვაცხადებთ, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ვდგებით პროლეტარიატის პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ ხელმძღვანელი ზედაფენებისა და ობორონცული პარტიების (სოც.-რევოლუციონერებისა და მენშევიკების) ბელადთა კონტრრევოლუციური და მოღალატური პოლიტიკასთან საბრძოლველად და ყველანი ვუერთდებით ჩვენს პროლეტარულ ხმას ყრილობის მისალმებებსა და ამხ. ლენინის საქმის გამო მიღებულ და სხვა რეზოლუციებს.

ჩვენ მივესალმებით ყრილობას — პროლეტარული მასების ერთადერთ საიმედო, იდეურ და მებრძოლ ბელადს მათ ბრძოლაში კონტრრევოლუციასთან რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის.

(გაზეთი „რაბოჩი ი სოლდატ", № 8, 1917 წლის ივლისი)

○

მეორე ქვეითი სათადარიგო პოლკის ახალგაზრდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, აღმოცენებული პეტერბურგის ამბების მშფოთვარე დღეებში, უძღვნის სალამს თავის უფროს თანამოძმეებს. **არავითარი დათმობა და სისუსტე, ამხანაგებო! ახალგაზრდა ძალები მოვლენ თქვენს დასახმარებლად!** — ბეჭდავდა დაბეჭდილ ფურცელში, რომ გვყავს მძლავრი მოკავშირე თვით ცხოვრებაში, რომელიც ყოველდღე გამოამჟღავნებს და უკვე ამჟღავნებს ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების გადაცემის პოლიტიკის სიყალბეს, რომელიც ბოლოს აიძულებს პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას შეიგნონ, რომ შეჭმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ საკუთარი ძალების იმედშია, — მხნედ ვიწყებთ ცხოვრებას.

(გაზეთი „რაბოჩი ი სოლდატ", № 4, 1917 წლის ივლისი).

○

ლანგენზიპენის ქარხნის მუშათა საერთო კრება მხურვალე სალამს უძღვნის რ. ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის ყრილობას. იგი გამოსთქვამს სურვილს, რომ რევოლუციური სოც.-დემოკრატიის სრულიადრუსეთის ყრილობამ, მიუხედავად დევნა-შევიწროვებისა, არ გადაუხვიოს კლასობრივი ბრძოლისა და მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის გზას. პროგრამის გამომუშავებისას პარტია იხელმძღვანელებს იმპერიალიზმის განვითარების თანამედროვე ეპოქით. იმპერიალიზმთან ბრძოლის გზა მხოლოდ სოციალიზმია.

(გაზეთი „რაბოჩი ი სოლდატ", № 8, 1917 წლის ივლისი)

პარტიაში მიღება აფხაზეთის პარტორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება პარტიაში მიღების მიმდინარეობის შესახებ

სოხუმი, 7 აგვისტო (საქდესი). საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საოლქო ორგანიზაციაში პარტიაში მიღება, ბიურომ აღნიშნა, რომ აფხაზეთის პარტორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა პარტიაში მისაღებად. პარტიაში მიღების განახლების მომენტიდან პარტიის კანდიდატად მიღებულია 41 კაცი, მათ შორის 29 კომკავშირელი, კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადაყვანილია 49 კაცი, მათ შორის 12 კომკავშირელი.

სოხუმის რაიპარტორგანიზაციაში კომკავშირელებიდან პარტიის კანდიდატად მიღებულია მხოლოდ 1 კაცი, გაგრის რაიპარტორგანიზაციაში — 3 კაცი, ხოლო გუდაუთის რაიპარტორგანიზაციაში არ არის მიღებული არც ერთი კომკავშირელი.

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში კომკავშირელთა ჩაბმის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გამოტანილ დადგენილებათა შესაბამისად — საოლქო კომიტეტის ბიურომ წინადადება მისცა პარტკომებს სოხუმის საქალაქო კომიტეტს, რაიკომებს და საქ. ალკ. საოლქო კომიტეტს ფართოდ გაშლილ მუშაობა, რათა პარტიის რიგებში ჩაბმან საუკეთესო, პოლიტიკურად შემოწმებული, პარტიისა და ხალხის მტრებთან ბრძოლაში გამოწრთობილი აქტივისტი კომკავშირელები.

რ. ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) VI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი

სურათზე: (მარცხნიდან - მარჯვნივ) ამხანაგები ვ. მოლოტოვი, ძ. ვოროშილოვი, ს. ორჯონიკიძე, ემ. იაროსლავსკი, ჯ. (ალიოშა) ჯაფარიძე

ფოტო-რეპროდუქცია რ. აკოფოვისა

ემ. იაროსლავსკი.

ბოლშევიკთა პარტიის VI ყრილობა

პარტიის VI ყრილობა შეიკრიბა მთელი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პრესის მხრივ ბოლშევიკთა წარმოუდგენელი დევნის პირობებში. ყრილობა ნახევრადლეგალურად სწარმოებდა. თუმცა გაზეთებში გამოცხადებული იყო ყრილობის მოწვევის შესახებ, მაგრამ არსად არ ყოფილა აღნიშნული ყრილობის სხდომების ადგილი. პირველად სხდომები იმართებოდა ვიბორგის მხარეზე. უკანასკნელი სხდომები გაიმართა სკოლის შენობაში ნარვის კართან. დროებითი მთავრობის მაძებრებს ფეხები დაეწყვათ სხდომების ადგილის ძებნაში. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვდა ყრილობის დელეგატების დაპატიმრებას ბოლშევიკური პარტიის ბელადი — ვლადიმერ ლენინი იმ დროს იძულებული იყო ფარულად ეცხოვრა ჭოხში სადგურ რაზლივის მახლობლად. ასეთია 1917 წლის მენშევიკური-ესერული, კადეტური „დემოკრატია"!

ლენინის გავლენა VI ყრილობის გადაწყვეტილებებზე უდიდესი იყო. ლენინი მონაწილეობას იღებდა ყრილობის მომზადებაში ყველა ძირითადი საკითხის ხაზით. ყრილობის ყველა რეზოლუციას ლენინი გადაათვალიერებდა ხოლმე, ვიდრე მათ დამტკიცებდა ყრილობა. ყრილობა მოწყობილ იქნა სტალინისა და სვერდლოვის მეთვის მიერ. ყრილობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა დაცვა ეკუთვნოდა ამხანაგ სტალინს.

ყრილობას დაესწრო 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 112 — სათათბიროთი. პარტიის VI ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში ი. მ. სვერდლოვმა მოიყვანა შემდეგი ცნობები: პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა 50-78-დან (აპრილის კონფერენციის მომენტში) გაიზარდა 162-მდე. აპრილის კონფერენციისათვის პარტიაში ითვლებოდა პარტიის 80 ათასი წევრი. VI ყრილობისათვის პარტიის წევრთა რიცხვი გაიზარდა 240 ათასამდე. პეტროგრადში ირიცხებოდა პარტიის 41 ათასი წევრი, მოსკოვის რაიონში—50 ათასი, ურალზე—25 ათასი, დონეცის ბასეინში—16 ათასი, კიევის რაიონში—10 ათასი, კავკასიაში —9 ათასი, ფინეთის რაიონში— 12 ათასი, ბალტიკის მხარეში — 14 ათასამდე, პოვოლჟიეში—13 ათასი, ოდესაში რაიონებიანად (ხერსონი, სევასტოპოლი)—7 ათასი, ყირიმში —10 ათასი, მინსკის რაიონში—4 ათასი, ჩრდილოეთის რაიონში — 1.050, სამხედრო ორგანიზაციებში— 22 ათასი.

3 ივლისისათვის პარტიას არასრული საანკეტო ცნობებით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო VI ყრილობაზე, ჰქონდა 41 ბეჭდვითი ორგანო. აქედან 28 რუსულ ენაზე და 13—ქართულ, სომხურ, ლატვიურ, თათრულ, პოლონურ და სხვ. ენებზე.

ივლისის დღეებში განცდილმა დამარცხებამ არა თუ არ შეაძკირა ჩვენი პარტიის გავლენა და მუშათა მასების ლტოლვა მისკენ, არამედ კიდევ უფრო მეტად გაზარდა ეს ლტოლვა და გავლენა. მომხსენებლებმა ადგილებიდან კონკრეტული მაგალითებით უჩვენეს მუშათა მასებსა და მშრომელებს შორის ბოლშევიკური ორგანიზაციების ზრდა.

○

ყრილობაზე დადგა საკითხი ლენინის გამოცხადების შესახებ სასამართლოში. ბოლშევიკებისათვის ნათელი იყო, რომ ეს გასამართლება და მთელი ბრალდება ბოლშევიკების წინააღმდეგ არის აშკარა და თავხედური კონტრრევოლუციური ცდა პროლეტარიატის მებრძოლ რევოლუციურ ავანგარდთან ანგარიშის გასწორებისა.

საზღვარი მოღალატეები ტროცკი, კამენევი, რიკოვი იმის მომზრე იყვნენ, რომ ლენინი გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სასამართლოში. ამხანაგმა სტალინმა გადაჭრით უკუაგდო ეს თავხედური კონტრრევოლუციური წინადადება.

სასამართლოში ილიჩის გამოცხადების შესახებ 8 (21) ივლისს წერილში სწერდა:

„ქერძო საუბრების მიხედვით, ამ საკითხის შესახებ ორი აზრი არსებობს.

ამხანაგები, რომლებიც „საბჭოების ატმოსფეროს" გავლენის ქვეშ ექცევიან, ხშირად მომხრენი არიან გამოცხადებისა.

მუშათა მასებთან უფრო ახლოს მდგომნი, სჩანს, ემხრობიან გამოუცხადებლობას..." (ტომი XXI, გვ. 24).

სასამართლოში ლენინის გამოცხადების საკითხის შესახებ ყრილობაზე ინფორმაცია გააკეთა სერგო ორჯონიკიძემ. მან ყრილობას გააცნობა:

„ცხადია, მათ მიერ შძაგი დევნა გარკვეული პოლიტიკაა... ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავცეთ ამხანაგი ლენინი..." (VI ყრილობის ოქმები, გვ. 32).

პარტიის ყრილობა წინააღუდგა ლენინის სასამართლოში გამოცხადებას.

○

ყრილობის ძირითადი საკითხები იყო ამხანაგი სტალინის ორი მოხსენება. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ამხანაგი სტალინის ლენინური პოზიციის წინააღმდეგ ყრილობაზე გამოვიდნენ პირწავარდნილი ოპორტუნისტები — რიკოვი, ბუხარინი, პრეობრაჟენსკი და მთელი რიგი სხვები, რომლებიც შემდეგ ფაშისტთა დაქირავებულები და მოღალატეები გახდნენ. ისინი უარჰყოფდნენ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას. ისინი, ისევე როგორც ოუდა ტროცკი, ამტკიცებდნენ, რომ, თუ საერთოდ დაიწყება პროლეტარული რევოლუცია, იგი დაიწყება დასავლეთში, და არა ჩვენში, რუსეთში. ტროცკისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები მახვილმოღერებულნი შეეგებნენ ლენინის თეორიას ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ამხანაგი სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს, ამხანაგ მოლოტოვს

ძვირფასო ჩვენო მამავ და ბელადო, ამხანაგო სტალინ!

ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ!

ჩვენ, ბელორუსიის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, შევიკრიბეთ რა სრულიად-ბელორუსიის თათბირზე 1.900 კაცის რაოდენობით, მოვისმინეთ და განვიხილეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენება საკოლმეურნეო მოწყობის საქმეში მავნებლობის შესახებ, რომელსაც ბელორუსიაში ატარებდა პოლონეთის ჯაშუშთა და მავნებელთა ბანდა, და კოლმეურნე გლეხობისათვის დახმარების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია მთავრობისა და პარტიის მიერ.

პოლონეთის ჯაშუშები საბჭოთა მეურნეობებს აწყობდნენ გლეხთა მიწებზე, ართმევდნენ კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთებს, უკანონოდ ჩამოართვეს კოლმეურნეობებს მათი კუთვნილი ტყე, უკრძალავდნენ კოლმეურნეებს პირუტყვი ეძოვებინათ ტყეში და ამ მავნებლური განკარგულების შეუსრულებლობისათვის აჯარიმებდნენ გლეხებს.

ბელორუსიის ხელმძღვანელ პოსტებზე შეპარულ ჯაშუშთა და მავნებელთა ბანდას თესვის გეგმაში შეჰქონდა მიწის არარსებული ფართობები, რათა კოლმეურნეები აიძულებინა ჭვავი ეთესათ იმ ნაკვეთზე, საცა წინათ ჭვავი იყო დათესილი, სელი არ ეთესათ ნაოწჯარზე, საშემოდგომო ნათესები — არა საანეულოდ და ამით შეეშცირებინათ მოსავალი ბელორუსიის მინდვრებზე.

მეცხოველეობისათვის ძირის გამოთხრის მიზნით პოლონეთის ჯაშუშთა ბანდა სპობდა პირუტყვს და, განსაკუთრებით, ცხენებს, ცხენებს უცრიდა ანემიას, მენინგიტს, ჭოთაოს, ხოლო ღორებს — ჭირსა და სხვა ავადმყოფობებს.

ჩვენ გავიგეთ, რომ ეგრეთწოდებული ლეპელის საქმე, ე. ი. გლეხების გაპარტახება მათთვის უკანონო გადასახადების გადახდევინების გზით, მოწყობილი იყო ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში გამძვრალ საზიზღარ ჯაშუშთა და დივერსანტთა პირდაპირი ბრძანებით. ჩვენ გავიგეთ, რომ პოლონეთის დაზვერვის იგივე დაქირავებული აგენტები ატარებდნენ კოლონიზაციის პოლიტიკას, ჰქმნიდნენ რა პოლონურ საბჭოებს იმ რაიონებში, სადაც სჭარბობს ბელორუსთა მოსახლეობა, აიძულებდნენ ბელორუს ბავშვებს ესწავლათ მათთვის უცნობ პოლონურ ენაზე, ბელორუს გლეხებს ელაპარაკათ დაწერებულებებში არა ბელორუსულ, არამედ პოლონურ ენაზე.

ზიზღითა და სიძულვილით ვგმობთ ამ საზიზღარ ჯაშუშებსა და ბანდიტებს, მუშათა და გლეხთა მკვლელებს და მომწამვლელებს, პოლონეთის ფაშიზმის დაქირავებულ აგენტებს, რომელნიც ღალატობდნენ თავის სამშობლოს, იეზუიტურად ატყუებდნენ ხალხს, და მოვითხოვთ, რათა დაუნდობლად გავუსწორდეთ ადამიანთა მოდგმის ამ ნაძირალებს და გადაგვარებულებს. შეჩვენებული და მარად შეჩვენილი იყოს მათი სახელი.

ჩვენ მადლობას ვუცხადებთ ჩვენს სსრ კავშირის მთავრობას, პარტიას, ამხანაგებს სტალინსა და მოლოტოვს იმისათვის, რომ ისინი დაგვეხმარნენ გვეშველა მტრები და მიეცეს ზომები კოლმეურნე გლეხობის დასახმარებლად და მავნებლობის შედეგთა სალიკვიდაციოდ.

ჩვენ მივესალმებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მავნებლურად მოწყობილი 138 საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაციისა და მათი მიწების კოლმეურნეობათათვის გადაცემის შესახებ.

ჩვენ მადლობას ვუცხადებთ პარტიასა და მთავრობას გადაწყვეტილებისათვის, რომ ყველა კოლმეურნეს მიეცეს კარმიდამო დადგენილი ნორმის მიხედვით.

ბელორუსიის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე-ქალის სახელით გამოვთქვამთ მადლობას იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს სამუდამო სარგებლობისათვის გადაეცა 480 ათასი ჰექტარი ტყე, აგრეთვე იმისათვის, რომ ერთიორად შემცირდა რძის ჩაბარების ნორმები.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება დამატებითი შეღავათების შესახებ კოლმეურნეობებში შემსვლელ ერთპიროვნულ მეურნეთათვის.

განვიხილეთ რა ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა შესახებ, ჩვენ, ბელორუსიის ყველა კოლმეურნის სახელით ფიცსა ვდებთ და პირობას ვიძლევით ნამდვილი ბოლშევიკური ენერგიითა და სტალინური შეუპოვრობით ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა ლიკვიდირებულ იქნას მავნებლობა, თავის დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ მიმდინარე წლის უხვი მოსავალი და უმოკლეს ვადაში საქმით შევასრულოთ თქვენი ლოზუნგი, ამხანაგო სტალინ, — გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო ყველა კოლმეურნე შეძლებულად.

გეფიცებით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ გავწმენდთ ჩვენი ბელორუსიის მიწა-წყალს ყოველგვარი სიდამპლისაგან, პოლონელი ჯაშუშებისა და მავნებლებისაგან. ჩვენ ვბრუნდებით საკოლმეურნეო მინდვრებზე მტკიცე რწმენით, რომ პარტიის, ამხანაგო სტალინის ხელმძღვანელობით, უმოკლეს ვადაში მოვახდენთ მავნებლობის ყველა შედეგის ლიკვიდაციას და გადავაქცევთ ბელორუსიის ყველა მუშისა და გლეხის ცხოვრებას შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებად.

ჩვენ გთხოვთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, გწამდეთ, რომ ბელორუსიის კოლმეურნე გლეხობა, დიდად-პატარიანად, როგორც ერთი კაცი, მზად ვართ, როდესაც მტერი თავს დაგვესხმის, გავიღოთ სსრ კავშირისათვის, კოლმეურნეობებისათვის, თქვენთვის, ამხანაგო სტალინ, არა მარტო ჩვენი ძალღონე, არამედ ჩვენი სიცოცხლეც.

კიდევ და კიდევ სულითა და გულით მადლობას გიცხადებთ, ჩვენო მშობლიურო ამხანაგო სტალინ, ბელორუსიის ხუთი მილიონი გლეხის სახელით, ბელორუს ხალხზე ზრუნვისათვის, იმისთვის, რომ მუშათა რა მრავალ დიად საქმეზე, თქვენ ჰპოულობთ დროს, რათა გაიცნოთ ჩვენი საჭიროებანი, ჩვენი სიძნელეები და გვიხსნათ მათ დაძლევაში.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენო საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ჩვენს ბელორუსიას ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაავქცევთ.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას და შეგობარს, ჩვენს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას!

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სრულიად-ბელორუსიის თათბირი.

თბილისის აბრეშუმისსაქსოი ფაბრიკის ახალგაზრდა სტახანოველი გოგონა — ევგენი ზაქაძე, რომელიც მუშაობს ჟერსეს და ტილო-აბრეშუმის საქსოვ ოთხ მანქანაზე და გეგმებს 133 პროცენტით ასრულებს

ფოტო რ. აკოფოვისა

დიდი რეგლამენტი და მოკლე მოხსენება

(ლაგოდეხი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლაგოდეხის მედსანშრომის კავშირის კრება 11 ივლისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ კავშირის პროფორწმუნებულ აპოლონ მჭედლიშვილის უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულების წყალობით, კრება 14 ივლისისათვის გადაიდო. ის გარემოება, რომ ოთხმოცი კაციდან მხოლოდ ორმოცდახუთი დაესწრო, უკვე მოწმობს კრების „ქარგად“ მომზადებას.

კრებას ესწრებოდა მედსანშრომის კავშირის წარმომადგენელი ლაგვილავა, რომელმაც სრული უმოქმედობა გამოიჩინა საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადება-ჩატარებაში. მან მხოლოდ კრების მსვლელობის პროცესში დაიწყო კავშირის წევრთა პირადი საქმეებისა და საწევრო შესატანის შემოწმება. კრების დასაწყისშივე შეუდგნენ საარჩევნო ყუთისა და საბეჭდი მანქანის ძებნას.

მომხსენებელს დრო ოცდაათი წუთით განუსაზღვრეს, აპოლონ მჭედლიშვილმა „იმარჯვა“ და თავისი „ანგარიში“ ათ წუთში მიაფუჩჩა. ა. მჭედლიშვილის მოხსენებაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნატამალიც არ იყო. იგი მხოლოდ ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდა და კავშირში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებსა და უმაგავსობებს გვერდი აუარა.

ეს გასაგებიც არის: მედსანშრომის რწმუნებულის ა. მჭედლიშვილის უპასუხისმგებლობა იქამდე მივიდა, რომ თავისი „მოღვაწეობის“ დროს კავშირის წევრთა პირადი საქმეები ერთხელაც არ გადაუთვალიერებია. ოთხმოცი კაციდან ოცს მკვდარ სულებში რიცხავდა, თუმცა მათი უმრავლესობა სხვადასხვა რაიონებში მუშაობას განაგრძობს.

მედსანშრომის კავშირის კოლეა წელიწადია რაც არ მოუწვევიათ, მაგრამ კავშირის წევრად ოცდაორი კაცის მიღება უკვე მოასწრეს. თვით პროფორწმუნებული აპ. მჭედლიშვილიც საერთო კრებას არ დაუმტკიცებია.

ცუდად არის დაყენებული საწევრო ანარიცხების აკრეფაც. წელიწადია საწევროს არ იხდიან ნიკოლოზ ჩუბინიძე, ალექსანდრე ბეზარაშვილი, დარჩიაშვილი, ოგანოვა და სხვ.

ჩაშლილია პროფწრეების მეცადინეობა, კედლის გაზეთის გამოშვება და კულტმასობრივი მუშაობა. ამის ერთერთი მიზეზი ის არის, რომ აპ. მჭედლიშვილი გადატვირთული იყო კერძო პრაქტიკით. იგი კლინიკაში ორი საათით დაგვიანებით ცხადდება და ერთი საათით ადრე სწყვეტს მუშაობას.

კერძო პრაქტიკა ჯანმრთელობას განყოფილების ყოფილ გამგეს თომა მჭედლიშვილსაც გაუტკბა. იგი პირადი მოტივების ნიადაგზე სდებნიდა ექიმებს, რის გამო ლაგოდეხიდან წავიდნენ: ონანოვი, სულხანიშვილი და სხვები.

მედსანშრომის რწმუნებულის მუშაობა შეფასებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად, მაგრამ კრებამ არ მიიღო არავითარი პრაქტიკული ღონისძიება შემდგომი მუშაობის გაადვილებისათვის. პირდაპირ გადავიდნენ კანდიდატურების დასახელება-არჩევნებზე.

ამ საანგარიშო-საარჩევნო კრებამ უფერულად ჩაიარა. კავშირის წევრები არ იცნობდნენ ამხ. შვერნიკის მოხსენებას და საკ. პროფ. საბჭ. მეექვსე პლენუმის გადაწყვეტილებას და არჩევნების წესს.

ახალ საარჩევნო კანონისადმი მიძღვნილი მიტინგი

მოსკოვი, 7 აგვისტო. (საქინ). 6 აგვისტოს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში გაიმართა ახალი საარჩევნო კანონისადმი მიძღვნილი მიტინგი.

მიტინგს დაესწრო დედაქალაქის 20 ათასამდე მშრომელი.

ვრცელი შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. სტეცკი. მოხსენება ტრანსლირებულ იქნა რადიოთი.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული მისალმება კონსტიტუციის შემოქმედის ამხანაგ სტალინის, გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!“

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგებს ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ეჟოვს

ჩვენ, კოლმეურნეობათა 1.900 თავმჯდომარე, ბელორუსიის გლეხობის სახელით გიძღვნით თქვენ მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

ჩვენ სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგო ვოროშილოვ, ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რკინის სახკომს!

ჩვენ სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგო კაგანოვიჩ, რკინიგზის ტრანსპორტზე გამარჯვებათა სტალინელ ორგანიზატორს!

ჩვენ სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგო ეჟოვ, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს, რომელმაც მაგრად ჩაიჭიროთ ხელში უცხოეთის ჯაშუშთა და მავნებელთა ბანდა!

სიტყვას გაძლევთ, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ჩვენ უმოკლეს ვადაში მოვახდენთ პოლონელ ჯაშუშთა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას და გადავაქცევთ ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკას სსრ კავშირის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

გაუმარჯოს სახელოვან სტალინელებს — ამხანაგებს ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ეჟოვს!

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სრულიად-ბელორუსიის თათბირი.

ამხანაგო სტალინ, ვოროშილოვ, კაგანოვიჩ, ეჟოვ, მოლოტოვ, მიკოიან, ჟდანოვ, ხრუშჩოვ, კოსიორ, ჩუბარ, პოსტიშევ, ეიხე, ქოსიორ!

მართა ხიშტი, როდესაც დაიწყეს ბოლშევიკთა პარტიის განადგურება, როდესაც მუშებს ქუჩაში ჰკლავდნენ იმისათვის, რომ ისინი „პრავდას“ ავრცელებდნენ, როდესაც დახურეს ცთელი რიგი ბოლშევიკური გაზეთები, მათ შორის „პრავდაც“ და იყო ცდები დაეხურათ მოსკოვში გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, როდესაც ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული, — ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა დაყენება საკითხისა საბჭოების მიერ ხელისუფლების მშვიდობიანად დაპყრობის შესახებ. ამიტომ ბოლშევიკებმა დროებით მოხსნეს ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„... ახლა, მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუცია დაირაზმა და განძტკიცდა, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოებს შეუძლიათ მშვიდობიანი გზით აიღონ ხელში ძალაუფლება — უკვე ლაპარაკს ნიშნავს. რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი გამავდა, დადგა არამშვიდობიანი პერიოდი, შეტაკებისა და აფეთქებების პერიოდი“... (VI ყრილობის ოქმები, გვ. 111).

ლენინი თავის სტატიაში „პოლიტიკური მდგომარეობა“ სწერდა:

„მთელი ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის ლოზუნგი, იყო ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა, რომელიც შესაძლო იყო აპრილში, მაისში, ივნისში 5-9 ივლისამდე, ე. ი. ფაქტიური ხელისუფლების გადასვლამდე სამხედრო დიქტატურის ხელში. ახლა ეს ლოზუნგი უკვე არასწორია, ვინაიდან ანგარიშს არ უწევს ამ მომხდარ გადასვლას და რევოლუციისადმი ესერებისა და მენშევიკების სრულ ღალატს საქმით“.

მაგრამ ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. მოხსნა სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ბოლშევიკები მოდიან საბჭოებიდან ან ძალით ტებენ თავიანთ ბრძოლას მათში.

„პირიქით, — ამბობდა ამხანაგი სტალინი.—შეიძლება ვიმუშაოთ და უნდა ვიმუშაოთ საბჭოებში, ცენტრალურ აპმასრულებელ კომიტეტში, კონტრრევოლუციური საფარის ორგანოში. თუმცა საბჭოები ახლო მხოლოდ მასების დარაზმვის ორგანოებია, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მასებთან ვართ და არ წავალთ საბჭოებიდან, ვიდრე იქიდან არ გაგვრეკავენ“. (VI ყრილობის ოქმები, გვ. 140).

კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ დღის წესრიგში ხელახლა დადგა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

„კორნილოვის აჯანყების დამარცხებით დაიწყო მეორე სტადია. ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ხელახლა დადგა დღის წესრიგში. მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა უკვე არა იმას, რასაც პირველ სტადიაში. მისი შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა სრულ განხეთქილებას იმპერიალისტებთან და ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოების უმრავლესობა უკვე ბოლშევიკური იყო. ეხლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა რევოლუციის პირდაპირ გალაშქრებას პროლეტარიატის დიქტატურისაკენ აჯანყების გზით“. (სტალინი. ლენინიზმის საკითხები“, გვ. 94).

○

ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სოციალისტურ რევოლუციაში რევოლუციური პროლეტარიატის მოკავშირეთა საკითხს. ლენინურ - სტალინური ხაზი რევოლუციის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში წარმოადგენდა მძაფრ წინააღმდეგობას ანტიბოლშევიკური ელემენტების მხრივ. ბუხარინი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ებრძოდა ლენინის წინააღმდეგ, რევოლუციის ძირითად საკითხებში ტროცკისტულ პოზიციებზე იდგა, უარჰყოფდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას, გამოდიოდა იმის წინააღმდეგაც, რომ პროლეტარიატს ხელმძღვანელობა გაეწია სოფლის ღარიბი მოსახლეობისათვის. ბუხარინი ყრილობაზე ამბობდა: „გლეხს, როგორც მესაკუთრეს, აუცილებლად უნდა გაეწიდებინა ხოლმე ხელი მოკავშირეთა იმპერიალიზმისათვის“.

ცაშასადამე, ამ საკითხშიც საზიზღარი მოღალატე ბუხარინი ატარებდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ხაზს. ამ მენშევიკურ - ტროცკისტულ პოზიციაზე შეერთდნენ ბუხარინიც, კამენევიც, რიკოვიც.

ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა ეს მენშევიკურ - ტროცკისტული ანდაზა. პარტიის ყრილობა გაჰყვა ლენინსა და სტალინს.

პარტიის VI ყრილობის ყველა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაში — რეზოლუციაში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ, რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო, რეზოლუციაში ომის შესახებ არის მითხოვნა ძალაუფლების გადასვლისა პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხობის ხელში.

მანიფესტში, რომელიც მაშინ ბოლშევიკებმა ყრილობის სახელით გამოსცეს მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი, ყველა მშრომელთადმი, წამოყენებულია ლოზუნგი: „გაუმარჯოს მუშებისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კავშირს“.

ამხანაგი სტალინი ყრილობაზე ამბობდა:

„მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუციამ სრული სიცხადით გამოაშკარავნა ჩვენი ბურჟუაზიის კავშირი მოკავშირეთა კაპიტალთან, კიდევ უფრო ცხადი შეიქნა, რომ რევოლუციურ ბრძოლაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ სამ ფაქტორს: რუსეთის პროლეტარიატს, გლეხობას და საერთაშორისო პროლეტარიატს, ვინაიდან ჩვენი რევოლუციის ბედიღბალი მჭიდროდ არის დაკავშირებული დასავლეთ ევროპის მოძრაობასთან“ (VI ყრილობის ოქმები, გვ. 140).

○

VI ყრილობას პარტიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. VI ყრილობამ მომართულება მისცა, დაამზადებინა პარტიას შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

VI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ოქტომბრის წინა პერიოდში გაწეულ იქნა უდიდესი მუშაობა. VI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ამხანაგი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქნა გატარებული, მიიღეს ღრმა და ყოველმხრივი ისტორიული შემოწმება. ისინი სავსებით სწორი აღმოჩნდნენ. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბოლშევიკურმა პარტიამ მომზადა მასები შეიარაღებული ბრძოლისათვის, მოამზადა თავისი მებრძოლი კადრები, გააძლიერა გავლენა გლეხებზე, მუშებზე, ჯარისკაცებზე და მეზღვაურებზე, გააძლიერა სამხედრო ორგანიზაციების მუშაობა. VI ყრილობა იყო ოქტომბრის ბრძოლებისათვის ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო მომზადების ყრილობა.

პარტიის ისტორიაში VI ყრილობა შეიძლება როგორც ყრილობა საბრძოლო მომზადებისა ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციისათვის.

VI ყრილობა მუშაობდა არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში, როდესაც ბურჟუაზია ცდილობდა გაენადგურებინა ჩვენი პარტია. მაგრამ ბოლშევიკებმა იცოდნენ, საითკენაც მიდიოდა ლენინ-სტალინის გზა. ამ გზის სასწორზე დარწმუნებულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც გმყარებოდნენ მტკიცე ორგანიზაციას, რომლებიც ემყარებოდნენ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით დაამხეს მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, გაანადგურეს ოპორტუნისტები, კაპიტულანტები, ურწმუნოები შტრეიკბრეხერები, და უზრუნველჰყვეს პროლეტარიატის დიქტატურის სრული გამარჯვება. სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში.

ბოლშევიკური პარტია აცოცხლებს ხალხის ყველა და ყოველგვარ მტრებს, დაუნდობლად სპობს ფაშიზმის საზიზღარ აგენტებს — ტროცკისტ - ბუხარინის ჯაშუშებს, დივერსანტებს და მავნებლებს, და პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მას დიდი საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მოსავლის აღების ოპერატიული თვითდინებაზე მიშვებული საქმეები

მოსავლის აღება საფრთხეშია

(ცაგერი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

დადგა ხორბლეული კულტურების აღების ცხარე დღეები. ცაგერში კი ეს არ ადარდებთ. მოსავლის აღება თვითდინებაზეა მინდობილი. რაიონის საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა დაივიწყეს ამ საქმის „წვრილმანები“, რომლებიც მართლა წვრილმანები როდი არიან.

პურის მკა უკვე დაიწყო. ხოლო ნაკურალეშის, ლაცორიის, ქვემო-საირმის, ჩქუმის, ქულბაქისა და ისუნდრის კოლმეურნეობებში ხარები დღუჩედავია, რის გამო დანაშაულებრივად ჭიანურდება შორეული ყანებიდან აღებული მოსავლის გადაზიდვა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას თავის დროზე დაავალა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა ხარების დასაჭედი ნალ-ლურსმნით, მაგრამ განყოფილების ყოფილმა გამგემ ხუბუკელაშვილმა ეს უმნიშვნელო საქმედ მიიჩნია. ასეგე ითქმის ძნების შესაკრავ თოკებსა და რკინის ფოცხებზე. თოკები კოლმეურნეობების დიდ ნაწილს არ გააჩნია. ისინი წკნელით ჰკრავენ ძნებს და ისე გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომ დიდია დანაკარგები. რკინის ფოცხებიც თითქმის არცერთ კოლმეურნეობას არ მოეპოვება.

ლესინდის, ლახეფის, ლაცორიის, ლარჩვალის, ბარდნალისა და ქვემო-ცაგერის კოლმეურნეობებმა ერთ კვირაზე მეტია დაიწყეს პურის მკა, მაგრამ ფარდულები 27 ივლისისათვისაც კი არ ჰქონდათ მზად. არც აღებული თავთავის ლეწვა არის მოგვარებული. მთელ რიგ კოლმეურნეობებში (ნაკურალეში, ჭასახელო, ზემო-ორბელი, ლაცორია) კალოები წესრიგში ჯერ არ მოუყვანიათ, პურს აღებისთანავე არ ლეწავენ, ლეწვას 3—4 დღეს აჭიანურებენ, ხელოვნურად ზრდიან მოსავლის დანაკარგებს და ამით აგვიანებენ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას.

თავთავიანი კულტურების აღებისათვის სუსტად მომზადებამ მოსავლის აღების გეგმის შესრულების მხრივ უკან დასწია მთელი რაიონი. რაიონის კოლმეურნეობებმა წელს თავთავიანი კულტურები უნდა აიღონ 1965 ჰექტარზე, 25 ივლისისათვის აღებულია მხოლოდ 368 ჰექტარი, რაც გეგმის 18,2 პროცენტს შეადგენს. მარცვლეული კულტურების მომყვანი ძირითადი სოფლები ძალიან ჩამორჩნენ მოსავლის აღებაში. ალპანაში (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ისაია) 224 ჰექტარიდან ამავე რიცხვისათვის აღებული ჰქონდათ მხოლოდ 32 ჰექტარი. საირმეში (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხუციძე)—10 ჰექტარი, ნაცვლად 153-სა. ორბელში (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დავითულიანი) 139 ჰექტარიდან აღებული აქვთ 38, ხოლო ტვიშის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ქვარაიანი) პურის მკა არ დაუწყიათ, მიუხედავად იმისა, რომ ფართობ „მიწაწყაროზე“ პური მასობრივად მომწიფდა.

რაიონი ტრიერებისა და სანიავებელი მანქანების დიდ ნაკლებობას განიცდის. რაც არის, ისიც თითქმის გამოუსადეგარია და რემონტს საჭიროებს. რემონტი კი ჯერ არ დაუწყიათ.

ეს ფაქტები მეტად დამაფიქრებელია. პარტიის რაიკომმა და რაიაღმასკომმა, ანსაკუთრებით კი რაიმიწგანმა (გამგის მოადგ. გუგავა, უფროსი აგრონომი ჩაკვეტაძე), დაუყოვნებლივ უნდა მიღონ გადამწყვეტი ზომები თავთავიანი კულტურების აღებაში ამ სამარცხვინო ჩამორჩენის ღონისაფხერელად. დაყოვნება დანაშაულს ჟღრის!

გ. უურაშვილი

მოსავლის აღება საფრთხეშია

კახეთის კოლმეურნეობათა მინდვრებზე მასობრივად შეუდგნენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას. წელს აქ ზარმანდელთან შედარებით მოსავალიც უკეთესი აქვთ და იგი სწრაფად აღებას მოითხოვს.

როგორია სამუშაოთა მიმდინარეობა? — უნდა ითქვას, რომ აშკარად არადამაკმაყოფილებელი. მაგალითად, თელავის რაიონში (რაიმიწგანის გამგე ქ. კოხტაშვილი) თავთავიანი კულტურები ასაღებია 23.380 ჰექტარზე; ფაქტიურად 28 ივლისისათვის აღებული იყო მხოლოდ 13.856 ჰექტარზე. გარდა ამისა, 28 ივლისისათვის თელავის რაიონში გალეწილი იყო მხოლოდ 1.923 ჰექტარის მოსავალი. ამავე რიცხვისათვის აღებული იყო ბალახი 511 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.333 ჰექტარისა.

საქმიწსახკომის გეგმით თელავის რაიონში მოსავლის აღება უნდა დამთავრებულიყო 25 ივლისს. რატომ ჭიანურდება მოსავლის აღება? თელავის რაიონში 4 კომბაინი და 35 სამკელი მანქანა მუშაობს, რაც საკმარისი არ არის, გარდა ამისა აღნიშნული მანქანები არ მუშაობენ სრული დატვირთვით. ამავე დროს ხშირია გაცდენა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. სალეწების გაცდენები გამოწვეულია აგრეთვე ცუდი რემონტით და საწვავი მასალის მოუმარაგებლობით. მაგალითად, 28 ივლისს სოფ. ახმეტაში 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. კახიაშვილი) სალეწი მანქანა უქმად იდგა. ამავე სალეწ მანქანას აკლია მუშა-ხელი და მისთვის ძნების მიზიდვაც შეფერხებულია. აღსანიშნავია, რომ ამ კოლმეურნეობაში ჰურის ლეწვაზე დადგენილი არ არის გამომუშავების ნორმები. კოლმეურნეებმა, ქერძოდ კიკლიაშვილის და ვ. ფელაშვილის ბრიგადაში, არ იციან, თუ რა სამუშაოსათვის რამდენი შრომადღე ეწერებათ. მათ არც შრომის წოდებაები გააჩნიათ. ამ კოლმეურნეობაში ხალხის მტრების—ყოფილი თავმჯდომარის სიკო მესხიშვილის, ბრიგადირ ანდრია სუხიშვილის და გიორგი ჭილაძის მავნებლობით ჩამაცდარია 60 ჰექტარი დამუშავებული ნიადაგი, ხოლო ხორბლის თესლი მათ სახლში წაიღეს. სხვა ნაკვეთებზედაც ეს ჩავნებები თესლნენ გაუწმენდავად და უვარგის თესლს. ამის გამო მიღებული მოსავალი ძლიერ დასავრელიანებულია.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში (ისე, როგორც რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში) მივიწყებულია ხანძრის წინააღმდეგო მუშაობა. არცერთ კოლმეურნეობას არა აქვს მოწყობილი დასაცავი საშუალებები—წყალი, ვედროები და სხვ. ის ადგილებიც, სადაც პურის ზვინები დგას, შეშოხნული არ არის. გარდა ამისა. მთელ რიგ რაიონებში ხორბლის მოსავალი ღიად ჰყრია და მისი გადაზიდვა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს (თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი).

ზოგ კოლმეურნეობებში ხორბალს არ აშრობენ და ისე ეზიდებიან ბეღლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა სოფ. ახმეტის კოლმეურნეობებში. რაიკომის მეორეს დადგენილებით ხსენებულ უბანზე მიმაგრებულია თელავის აღმასკომის თავმჯდომარე თედო შაშიაშვილი და ინსტრუქტორი ივანე იანვარაშვილი. როგორც ვხედავთ, ეს ამხანაგები დაუშვებელ უდარდელობას იჩენენ და მოსავლის აღებაც საფრთხეშია. ამავე რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში კომბაინი (კომბაინერი მიტო გიგოლაშვილი) ხშირად სცდება პურის გადასაზიდი ტრანსპორტის მოლოდინში,

ასეთივე მდგომარეობაა მოსავლის ალეწვისა და გადაზიდვის საქმეში ყვარლის რაიონის (რაიმიწგანი იაკობ გიგიტაშვილი) სოფ. შილდის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავ-რე იოსებ ზუბიაშვილი). სალეწი 14 ივლისიდან ყოველდღე 3-4 საათს სცდება. სალეწის გაცდენები უმთავრესად გამოწვეულია ტრაქტორის რემონტის ცუდი ხარისხით (ტრაქტორისტი ივანე მელაშვილი). აღსანიშნავია, რომ ყვარლის რაიონში ვანის მტს-იდან დასახმარებლად ჩამოტანილ 15 ტრაქტორიდან ფაქტიურად წესიერად მხოლოდ ერთი მუშაობს. როგორც გამოირკვა, ტრაქტორების რემონტი მავნებლურადაა შესრულებული. ერთერთი ასეთი ტრაქტორის მიზეზით 29 ივლისს სცდებოდა ოცდაათი მუშა და ავრეთვე ძრავიდან იღრეობოდა საწვავი მასალა. დაუდევრად მოიქცა ყვარლის მტს-ის დირექტორი ლავრენტი რ

ჩინეთის ამბები

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკების ირგვლივ

შანხაი, 4 აგვისტო (საქდესი). იაპონიის ელჩი ჩინეთში კავაგოე ტოკიოდან გაემგზავრა შანხაიში დაირენის გზით. დაირენში დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, იგი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც გამოსთქვა იაპონია - ჩინეთის მოლაპარაკების განახლების იმედი.

შანხაი, 4 აგვისტო (საქდესი). როგორც გაზეთი „ხუამეივანბაო“ ნანკინიდან იტყობინება, ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლანდელ პირობებში მეტად მცირეა იაპონია - ჩინეთის დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების იმედი.

იაპონიის ხელისუფალთა ახალი მოთხოვნა

შანხაი, 4 აგვისტო (საქდესი). „სინვენბაო“ იტყობინება, რომ იაპონიის ხელისუფლებამ კანტონის ჩინელ ხელისუფალთ წარუდგინა ახალი მოთხოვნა — დახურონ ანტიიაპონური ხსნის ადგილობრივი ასოციაცია. გაზეთის სიტყვით, ჩინეთის ხელისუფლებამ გადასწყვიტა არ უპასუხოს ამ უაზრო მოთხოვნაზე.

ჩიანოს განცხადება უნივერსალ ნიუს სერვისის საკორესპონდენტოსთან

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო (საქდესი). იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ ხერსტის სააგენტოს უნივერსალ ნიუს სერვისის რომაელ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„არ არსებობს არავითარი სერიოზული დაბრკოლება ან წინააღმდეგობა, რომელიც გზას უღობავდეს ინგლის - იტალიის შეგობრობას. ამჟამად არის შესაძლებლობა შეეცადონ ტრადიციული მეგობრობის ხათუმელზე ინგლისსა და იტალიას შორის ურთიერთობის აღდგენის საშუალებათა შესწავლას“. შემდეგ ჩიანომ განაცხადა, რომ მეგობრობის აღდგენა ორ ხალხმწიფოს შორის არ იქნება მიმართული სხვა რომელმე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ. ჩიანომ გარკვევით მიუთითა, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ ღერძი რომი-ბერლინი არ დაზიანდება ინგლის-იტალიის დაახლოების შედეგად. უპასუხა რა კითხვაზე ინგლის-იტალიის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, ჩიანომ განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ნაბიჯია გადადგმული ატმოსფეროს გასაწმენდად და — რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — ურთიერთ ეჭვების და უნდობლობის აღმოსაფხვრელად“ იდენისა და დაფ - კუპერის მიერ ამასწინათ წარმოთქმულმა გულწრფელმა სიტყვებმა, — გააგრძობდა ჩიანო, — ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიაში. ამ მეტად მნიშვნელოვანმა სიტყვებმა მოამზადა წერილების გაცვლა მუსოლინისა და ჩემბერლენს შორის“.

რეიხერის საგენერო ჩიანოს განცხადების შესახებ

ლონდონი, 5 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩიანოს განცხადების მოწონებით შეხვდნენ ლონდონში. „ლონდონის წრეებში,—განაგრძობს სააგენტო, — კმაყოფილი არიან იმით, რომ ჩიანოს შეხედულებანი ემთხვევიან იდენის მიერ თემთა პალატაში გამოთქმულ თვალსაზრისს. შექმნილი ვითარების მეორე ძირფას მხარედ წარმოადგენს საფრანგეთის მიერ იმის გაგება, რომ ინგლის - იტალიის ურთიერთობის განვითარება ორივეადაც არ ხდება საფრანგეთთან ინგლისის თანამშრომლობის ხარჯზე“.

ა. შ. შვაჯები და იაპონია

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, ეხება რა იაპონია-ამერიკის ურთიერთობას, უარჰყოფს შეციებაში მყოფ იაპონიის ელჩის ამოს ამასწინანდელ განცხადებას, რომელიც პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ნიუ-იორკში ამტკიცებდა, რომ „იაპონია-ამერიკის ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი გულითადი, როგორც ახლა“. გაზეთი აცხადებს, რომ „ჭეშმარიტება თითქმის სწორედ საწინააღმდეგოა“. ამერიკელი ხალხი უღრმესი უნდობლობით ეკიდება იაპონიის აგრესიულ პოლიტიკას ჩინეთში. „დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც იაპონელი დიპლომატები ახერხებდნენ ა. შ. შტატების მოტყუებასო“, — დასკვნის გაზეთი.

◇ ◇ ◇

იაპონელებმა ხელთ იგდეს ჩინელთა გემები

შანხაი, 4 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო ფლოტმა ტაინძინში ხელთ იგდო ჩინელთა 4 სამდინარო საპატრულო გემი. გარდა ამისა იაპონელებმა მოახდინეს ჩინელთა სანაოსნო კომპანიის ორი ორთქლის კატარღის რეკვიზიცია. ტაკუს დოკის მთელი მოწყობილება გაიტანეს იაპონელებმა.

გერმანიის მზადება ომისათვის ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ

პრაღა, 5 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „ნაროდნი პოლიტიკას“ ცნობით, გერმანია დიდ სიმაგრეებს აგებს მთელი ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გასწვრივ. სიმაგრეთა მთავარი ქსელი მდებარეობს დასავლეთში და მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ჩეხოსლოვაკიის და საფრანგეთის არმიების შესაძლებელ შეერთებას ომის შემთხვევაში.

◇ ◇ ◇

საბჭოთა სპორტსმენები—საფრანგეთის პრესის ყურადღების ცენტრში

პარიზი, 5 აგვისტო (საქდესი). გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა სასპორტო გუნდის ჩამოსვლას პარიზში. წინანდებურად დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა მკურნალი ბოიჩენკო, რომელმაც დაამყარა 100 მეტრზე ჩქარი ცურვის მსოფლიო რეკორდი. გაზეთებს მოჰყავთ საუბრები ბოიჩენკოსთან, დიდ ადგილს უთმობენ მის სპორტულ მოზადებას და მის მომავალ გეგმებს.

ნარკვევებში გუშინდელ მატჩზე საბჭოთა ფეხბურთელების გუნდსა და ინგლისის ფეხბურთელთა გუნდს შორის განსაკუთრებით აღინიშნავენ ამხ. ფედოტოვის კარგ თამაშს; გაზეთები ამხ. ფედოტოვს აფასებენ, როგორც საერთაშორისო კლასის თვალსაჩინო ფეხბურთელს.

◇

პირველი საბჭოთა ველოტური

მოსკოვი, 5 აგვისტო (საქდესი). უახლოეს დღეებში მოსკოვში ჩამოვლენ მონაწილენი პირველი „საბჭოთა ველოტურის“ ველოსიპედისტთა დიდი გარბენისა, რომელიც ეწყობა მარშრუტით მოსკოვა—კიევი—მინსკი—მოსკოვი.

„საბჭოთა ველოტურს“ აწყობს სსრ კავშირის საბჭოსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტი ფრანგ ველოსიპედისტთა ცნობილი ტრადიციული გარბენის (საფრანგეთის ირგვლივ), ეგრეთწოდებული „ტურ დე ფრანს“-ის ნიმუშის მიხედვით. 1937 წელს „ტურ დე ფრანს“ ჩატარდა ოცდათერთმეტჯერ. ფრანგ მორბენალებს უდიდესი გამოცდილება მოეპოვებათ ველოსიპედისტთა სიჩქარეზე გარბენის ორგანიზაციაში. ამ გამოცდილებას სწავლობენ და იყენებენ სხვა ქვეყნების ველოსპორტსმენები.

ველოტურის მარშრუტი მოსკოვიდან გადის ტულაზე, ორიოლზე, სევსკზე, გლუხოვზე, ჩერნიგოვზე, კიევზე, გომელზე, მოგილევზე, მინსკზე და შემდეგ მოსკოვში დაბრუნდება ვიტებსკით, სმოლენსკით, იუხნოვით.

გზის სიგრძეა 2.509 კილომეტრი. მარშრუტი დაყოფილია 14 ეტაპად. თვითეული ეტაპი გარუდით ერთი დღის გზას. გარბენის შედეგები ფიქსირებული იქნება თვითეულ ეტაპზე, ხოლო შემდეგ ერთად იქნება გამოანგარიშებული. გარბენის დროს სამი დღე გამოყოფილია დასასვენებლად. ტურის მონაწილენი დასასვენებელ დღეებს გაატარებენ კიევში, მინსკში და იუხნოვში.

გარბენაში მონაწილეობას იღებს 150 საუკეთესო საბჭოთა ველოსიპედისტი. 100 მათგანი იქნება საჯუფთო, ხოლო 50 საგზაო ველოსიპედისტები. გარბენაში ველოსიპედისტებს გაჰყვებიან ავტომანქანები მსაჯთა მთავარი კოლეგიის წევრებით, სამგზავრო ამბულატორიით, სარემონტო სახელოსნოებით და ა. შ.

ველოტურში მონაწილეობას იღებენ სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს“, „სპარტაკის“, „წითელი არმიის ცენტრალური სახლის“, „სტარტის“, „ბურევესტნიკის“, „ზენიტისა“ და სხვ. გუნდები, თვითეული გუნდი, რომელიც საჯუფთო მანქანებით მიდის, 6 მორბენალისაგან შესდგება. საგუნდო პირველობის ჩათვლა მოხდება ამ გუნდის სამი მორბენალის შედეგების მიხედვით, რომლებმაც უკეთესი დრო უჩვენეს. საგზაო ველოსიპედებით მომავალი გუნდების შემადგენლობაში იქნება ოთხ-ოთხი მორბენალი. აქ ჩათვლა იწარმოებს ორი ამ მორბენალის შედეგების მიხედვით, რომლებმაც დისტანცია გუნდის დანარჩენ წევრებზე სწრაფად გაიარეს.

გარბენის მონაწილეთა შორის არიან — უკრაინის ველოტურში გამარჯვებული რაბალჩენკო (უკრაინა), ბელორუსიის ველოტურში გამარჯვებული ბოლშაკოვი, მორბენალები: დენისოვი (დინამო), ტარაჩკოვი (დინამო), ნაზაროვი (სპარტაკი), ლეონტიევი (სპარტაკი) და სხვ. გამარჯვებულ გუნდს და ინდივიდუალურად გამარჯვებულს მიეცემათ ჯილდო.

გარბენის სტარტი—12 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე, აქ შესდგება ველოტურის დაწყებისადმი მიძღვნილი მიტინგი. ტექნიკური სტარტი შესდგება იმავე დღეს სერპუხოვის გზატკეცილის მე-11 კილომეტრზე, ფინიში—23 აგვისტოს მოსკოვში.

ჯ. ანტვერპენში (ბელგია) დამთავრდა მუშათა საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც სსრ კავშირის სპორტსმენებს შორის საქართველოდან მონაწილეობდნენ ორდენოსანი ფიზკულტურელები გ. რცხილაძე და ა. ჯორჯაძე. სურათზე: ტანთვარჯიშობის ოსტატი ა. ჯორჯაძე

ფოტო „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

საველოსიპედო ლექსიკონები

აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა დაამზადა და გამოსაცემად გადასცა შემდეგი სატერმინოლოგიო ლექსიკონები:

მემცენარეობის ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ნაადგამყოფობების, მევენახეობის, მეღვინეობის, მეველობის, მემინდვრეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის და სუბტროპიკების ტერმინებს.

მეცხოველეობის ლექსიკონი, რომელშიც შედის ანატომია-ფიზიოლოგიის, მომშენებლობის, საკვებთა მოპოვების, მეცხვარეობის, მეძროხეობის, მეღორეობის, მეცხენეობის და მეფრინველეობის ტერმინები.

ცალკე წიგნებად გამოდის აგრეთვე სოფლის მეურნეობის მავნებლების ლექსიკონი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ლექსიკონი.

აღნიშნული ლექსიკონების ყველა მასალა შეგროვილია ცოცხალი ენიდან, უშუალოდ წარმოებებიდან, დამუშავებულია მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტების მიერ და დადასტურებულია ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილებისაგან.

გარდა ამისა, უკვე დამზადებულია და უახლოეს დღეებში გადაეცემა წარმოებას ფინანსებისა და კრედიტის ტერმინოლოგია, რომელიც შეიცავს 6.000 რუსულ-ქართულ და 7.500 ქართულ-რუსულ ტერმინს, ეკონომიურ მეცნიერებათა ტერმინოლოგია 12.000 ტერმინით, მათემატიკური ტერმინოლოგია 5000 ტერმინით, გეოლოგიური ტერმინოლოგია 4100 ტერმინით და პალეონტოლოგიური ტერმინოლოგია 1500 ტერმინით.

საზერმინოლოგიო ლექსიკონები

აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა დაამზადა და გამოსაცემად გადასცა შემდეგი სატერმინოლოგიო ლექსიკონები:

მემცენარეობის ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ნაადგამყოფობების, მევენახეობის, მეღვინეობის, მეველობის, მემინდვრეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის და სუბტროპიკების ტერმინებს.

მეცხოველეობის ლექსიკონი, რომელშიც შედის ანატომია-ფიზიოლოგიის, მომშენებლობის, საკვებთა მოპოვების, მეცხვარეობის, მეძროხეობის, მეღორეობის, მეცხენეობის და მეფრინველეობის ტერმინები.

ცალკე წიგნებად გამოდის აგრეთვე სოფლის მეურნეობის მავნებლების ლექსიკონი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ლექსიკონი.

აღნიშნული ლექსიკონების ყველა მასალა შეგროვილია ცოცხალი ენიდან, უშუალოდ წარმოებებიდან, დამუშავებულია მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტების მიერ და დადასტურებულია ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილებისაგან.

გარდა ამისა, უკვე დამზადებულია და უახლოეს დღეებში გადაეცემა წარმოებას ფინანსებისა და კრედიტის ტერმინოლოგია, რომელიც შეიცავს 6.000 რუსულ-ქართულ და 7.500 ქართულ-რუსულ ტერმინს, ეკონომიურ მეცნიერებათა ტერმინოლოგია 12.000 ტერმინით, მათემატიკური ტერმინოლოგია 5000 ტერმინით, გეოლოგიური ტერმინოლოგია 4100 ტერმინით და პალეონტოლოგიური ტერმინოლოგია 1500 ტერმინით.

სამხატვრო აკადემიაში

თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაიწყო მისაღები გამოცდები ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, კერამიკისა და სახელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის.

მიღების კონტიგენტი განსაზღვრულია 70 კაცის რაოდენობით. შეტანილია 150 განცხადება, მათ შორის 60 საარქიტექტურო ფაკულტეტზე.

უგამოცდოდ მიღებულია 12 ახალგაზრდა, რომელთაც სამხატვრო სასწავლებელი „ფრაიდზე“ დაამთავრეს. საშუალო სკოლების 15 ფრიადოსანი გამოსცადეს ხატვაში.

წელს აღდგენილია სახელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელზედაც მიღებული იქნება 25 სტუდენტი.

◇

750 ათასი ფოტოპაპარაცი

ლენინგრადი (საკ. კორ.). სახ. პოლიტსამმართველოს სახელობის ოპტიკურ-მექანიკური ქარხანა ამუშავებს მესამე ხუთწლედში პროდუქციის ახალ სახეობა ჯამიშების გეგმას.

განზრახულია მომავალ წლიდან შორმზომი ორიგინალური საბჭოთა კამერის „ფოტორეპორტიორის“ წარმოების მოწყობა. კამერას ექნება დიდი შუქძალის ობიექტივი „ინდუსტარ—7“ დაროექტებულია აგრეთვე თხსკის კამერისა და მასობრივი საბავშვო ფოტოაპარატის გამოშვება.

1939 წლიდან ქარხნის პროგრამაში შევა შუქძალიანი ობიექტივების ახალი ნომენკლატურა. ამასთან ერთად იწარმოებს ძველი აპარატების „ფოტოკორისა“ და „ტურისტის“ კონსტრუქციის გაუმჯობესება მესამე ხუთწლედის განმავლობაში განზრახულია 750 ათასამდე ფოტოაპარატის გამოშვება—თითქმის 300 ათასი ცალით უფრო მეტისა, ვიდრე მეორე ხუთწლედში.

ქათველისწინებულია აგრეთვე კინოთეატრებისათვის ორი ახალი ტიპის ხმოვანი აპარატისა და ავტომატი მთრავი ახალი ხმოვანი კინოაპარატის გამოშვება.

ახალი წიგნები

ხაქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ახალგაზრდა მწერლის გრ. აბაშიძის ლექსების წიგნი. წიგნში მოთავსებულია 20 ლექსი და პოემის ხაწყვეტი. წიგნი კარგად არის გამოცემული, დაბეჭდილია უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე და ღირს 2 მან. და 60 კაპ.

„სახელგამის“ სასკოლო ბიბლიოთეკამ გამოსცა ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობილი პოემა „ვლადიმერ ილიჩ ლენინი“. პოემა სთარგმნა მიქელ პატარიძემ. წიგნი შეიცავს 94 გვერდს და ღირს 1 მან. და 50 კაპ.

გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ № 4 და „ჩვენი თაობა“ № 4.

თბილისის „დინამოს“ გამგზავრება

დღეს, დილით თბილისიდან კიევში გაემგზავრება ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელიც პირველ მატჩს საკავშირო პირველობაზე ჩაატარებს 12 აგვისტოს კიევის „დინამოსთან“.

თბილისის „დინამოელები“ 31 ივლისიდან 7 აგვისტომდე კიევში ვარჯიშობდნენ „დინამოს“ მწვრთნელის ამხ. სოკოლოვის ხელმძღვანელობით.

გამგზავრების წინ „დინამოს“ ორდენოსანმა კაპიტანმა შ. შავგულიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ჩვენს გუნდს აქვს საკმაო დიდი გამოცდილება გასული წლის საკავშირო პირველობისა და მომდინარე წლის „საკავშირო თასის“ გათამაშებიდან, სადაც ჩვენ მივიღწიეთ კარგ შედეგს და საბჭოთა კავშირის ერთერთ უძლიერეს გუნდთან—მოსკოვის „დინამოსთან ერთად გამოვედით ფინალში. გამოცდილება ჩვენი აგრეთვე ორი შეხვედრიდან სახელოვან ბასკეტბურთელებთან.

მომდინარე წლის საბჭოთა კავშირის პირველობისათვის ბრძოლა მოგვიხდება ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორიც არიან მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის „დინამოები“, მოსკოვის „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ და „მეტალურგი“.

მთელი ჩვენი კოლექტივი გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას ამ მატჩების ჩატარებაზე. იმედი გვაქვს, რომ 1937 წლის პირველობის გათამაშებაში სახატო შედეგს მივაღწევთ.

◇

თბილისის კალათბურთელთა გამარჯვება

6 აგვისტოს, საღამოს 6-ნახევარ საათზე, თბილისის კოროვის სახელობის ფიზკულტურის პარკში შეიდგა „საკავშირო თასის“ გათამაშების მესამე წრე კალათბურთში, თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტიანიკებისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

„დინამოელებმა“ მთელი თამაში კარგად ჩაატარეს და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 27:20.

ამრიგად, 12 აგვისტოს „დინამოელები“ „საკავშირო თასის“ გათამაშების მეოთხე წრეში თბილისშივე შეხვდებიან „საკავშირო თასის“ ერთერთ უძლიერეს პრეტენდენტს—ლენინგრადის „კრასნაია ზარიას“.

◇

ზოოპარკში

ამ დღეებში ზოოპარკმა ხარკოვიდან მიიღო ორი ეგზემპლარი ბებუ, 20 მუშკის ცხვარი, ცხვრები—გისარები და ეგვიპტის მჭრელები. ცოტა ხნით ადრე ყალთუბოთა ასს რესპუბლიკიდან მიღებულ იქნა სამი საოგაკა (ანტილოპის იშვიათი სახე).

ხარხუმის სანერგედან მიღებულია ორი გამადრილი რვა თვის ასაკისა. ყაზბეგის რაიონიდან ზოოპარკმა მიიღო სამ პატარა ჯიხვი.

ცხოველებისა და ფრინველების უკეთ თავსისუფლად დაბინავების მიზნით გაფართოებულია სამაიმუნე, აკეთებულია ახალი ბაკები ჯეირნებისა და სირაქლემებისათვის. (საქდესი).

თბილისი. 6 აგვისტოს შესდგა საქართველოს ბავშვთა ველოსიპედოსნების სურათზე: შეკიბრებაში გამარჯვებული გოგონა, პირველი სკოლის ფრაადოსანი შხეიძე, რომელმაც 5 კილომეტრი 11 წუთსა და ერთ წამში გაიარა

ფოტო გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ზანმრთელობის სახალხო კომისარიატი

სახელმწიფო კურორტების მთავარ სამმართველოს დასკვნითი ბალანსი

1937 წლის 1-ლ იანვრისათვის.

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა მან.
1	ძირითადი საშუალებანი	31.840.779	1	ფონდები	39.230.606
2	მასალები, ნედლეული, სათ. ნაკეთი	1.511.444	2	რეზერვები	19.738
3	წარმოება და ექსპლოატაცია	26.164	3	სარეგულაციო მუხლები	37.619
4	საქონ. და მზანაწარმი საწყ. და გზაში	1.193.870	4	მიზიდული რესურსები	12.174
5	შინა რესურსების მობილ. მიზნით გამოყ. ძირ. საშუალ.	53.165	5	ანგარიშსწორებანი	1.976.795
6	ფულადი საშუალებანი	1.453.370	6	მომავალი საანგარიშო პერ. შემოს.	191.611
7	ანგარიშსწორებანი	1.277.042			
8	გაწეული ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში	129.210			
9	განაყენებული საშუალებანი	232.558			
10	ანგარიშსწორებანი ბალანსებს შორის კაპ. დაბან. ბალ. გამოყ. სახს.	2.347.093			
11	დანაკარგები	1.403.848			
	ბალანსი	41.468.543		ბალანსი	41.468.543

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	დანაკარგები რეალიზაციით	3.020.058	1	დაგროვება რეალიზაციიდან	2.131.547
2	დანარჩენი დანაკარგები	749.318	2	დანარჩენი შეთსავალი	243.961
				ჯამი	2.375.508
				დანაკარგები	1.403.848
	ბალანსი	3.779.376		ბალანსი	3.779.376

დამტკიცებულია საქ. ჯანსაკომის კომისიის მიერ 1937 წ. 17 აპრილს.

სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. ნაჩაჩეიშვილი. მთ. ბუხგალტერი შ. ორჯონიკიძე.

სასაგზაურთნუსხა

გულკეთილი მოსაბაჟეები

შოფერს ვლადიმერ სილაძეს ძალიან უყვარს ქეიფი. ღვინოს რომ დაინახავს, თვალები გაუბრწყინდება და ყველაფერი ავიწყდება. სიმღერა კარგი იცის. მომლხენი ბიჭიაო, ამბობენ შოფერები. მიმდინარე წლის 25 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელებმა სილაძე ავტომობილით საშუფო სოფელში გაჰგზავნეს. თბილისიდან სოფელ გალავნამდე მშვენიერი გზაა. მაგრამ მიაკროლებდა შოფერი სპარგო ავტომობილს, რომელშიაც ოპერის თეატრის ორი თანამშრომელი ბასალაშვილი და ამბიაშვილი ისხდნენ. ნაშუადღევს მშვიდობიანად ჩავიდნენ სტუმრები სოფელში და იქაურობა დაათვალიერეს. საპირველმისო გეგმა შეადგინეს. ოპერის მუშაკებმა საჩუქრები გადასცეს საშუფო სოფლის წარმომადგენლებს. შემდეგ კოლმეურნეებმა დაპატიჟეს სტუმრები და მშვენიერი ვახშამი გაუმართეს.

— უკვე შემოგვაღამდა. ნუ დალევ, ქაცო ღვინოს! — აფრთხილებდნენ სილაძეს, მაგრამ იგი მაინც არავის უყურებდა.

ღამის 12 საათი იყო. სილაძემ მოინდომა თბილისში წასვლა. თუმცა მთვრალი იყო, მაგრამ თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა. ოპერის თანამშრომლები უარზე იდგნენ, შოფერი კი ჯერვეულდა და უყვირა:

— თუ მოდიხართ, წამოდით, თუ არა, მე მივდივარ! — ამ სიტყვებზე სილაძე კაბინაში ჩაჯდა. მალე ბასალაშვილი და ამბიაშვილიც მოუსხდნენ გვერდით. შემდეგ თბილისში მომავალ კოლმეურნეებიც ჩასხდნენ ავტომობილში, რომელიც სწორ გზაზე მთელი სისწრაფით გაქანდა.

— ნელა, ქაცო, ნელა! — ითხოვდნენ შოფერს, მაგრამ იგი ისე იყო გაბრუებული, რომ არაფერი ესმოდა. მიჰქროდა მთელი სისწრაფით ავტომობილი, მოსხვევებში ისე გადაიხრებოდა ხოლმე, რომ კოლმეურნეები შიშისაგან ერთმანეთს ეკვროდნენ.

— გაიარე, ქაცო, ეს ხიდი, ჭიეითად წვალდა! — ყვიროდა ზედიდან შოფერს კოლმეურნეებმა, მაგრამ სილაძემ უფრო უმატა სისწრაფეს და ზაჰესის პირდაპირ ურემს დაეჯახა. ავტომობილი მძლავრად შეირყა, მგზავრებმა ყვარილი ასტეხეს.

— ვალოდია, რაღაცას დავეჯახეთ, გაჩერე ავტომობილი! — უთხრეს შოფერს ოპერის მუშაკებმა.

— ჰმ, დავეჯახეთ კი არა, ავტომობილმა კედელი მოიჭინა! — მიუგო შოფერმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ურემი დალეწა, მაგრამ ბოროტმოქმედების ჭვალის დაფარვის მიზნით არ შეჩერდა.

ზაჰესის მახლობლად მძიმედ დაჭრილი გლეხი კი ამხ. ხუროშვილი სიკვდილს ებრძოდა. მკვდარი კამეჩი პირალმა ეგდო ურემი. მტკვარს მაჰჭონდა. როცა შემთხვევის ადგილზე მილიციელები გამოცხადნენ, ხუროშვილი უკვე მკვდარი დახვდათ.

მეორე დღეს სილაძე დააპატიმრეს. ამ დანაშაულში გამოტყდა, მაგრამ მაინც დაიწყო თავის მართლება. ეს საქმე თბილისის რაიონის პროკურატურამ გამოიძია და გასარჩევად სახალხო სასამართლოს გადასცა.

თბილისის რაიონის მოსამართლემ ამხ. ე. არჩვაძემ გაარჩია საქმე და მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის, თავხედ შოფერს, რომელმაც გლეხი და კამეჩი მოჰკლა და ურემი დაამტვრია, ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა...

ამ დადგენილებამ ხალხში აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია, ნუთუ გულკეთილობით მოუვიდა ეს მოსამართლეს?! ეს დადგენილება უნდა შეიცვალოს, რადგან კაპიტალი სიღატისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 117 და 148 მუხლი კი არა, 58 მუხლის 17 ნაწ. უნდა მიეყენებინათ, რომელიც ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ამასთან ეს საქმე უზენაეს სასამართლოს უნდა გაერჩია.

გულკეთილი მოსამართლის დადგენილება თბილისის რაიონის პროკურატურამ უნდა გადასინჯოს.

კლ. ზიაძე

საშუალო განათლება დაუსწრებლად

დაიწყო 1937 - 38 სასწავლო წლისათვის მოზრდილთა სკოლებში განცხადებების მიღება. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და ცნობა ხუმაობის შესახებ.

მოზრდილთა დაუსწრებელი სკოლები მოწყობილია: ამაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, ონის, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქუთაისის, ქედა-სვანეთის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ფოთის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, ჭიათურის, ჯუღელის, ორჯონიკიძის, ხაშურისა და ხობის რაიონებში. ქ. თბილისში და აჭარაში. მსურველებმა საჭირო საბუთები უნდა შეიტანონ რაიონის განათლების განყოფილებაში.

მოზრდილთა დაუსწრებელი სკოლის მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო გეგმით, სპეციალური პროგრამებით და წიგნზე მუშაობის მეთოდური მითითებით. მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ სექტემბერს, ხოლო მეცადინეობა—20 ოქტომბრიდან.

ახალი ამბები

● **საქართველოს** სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით პერიოდიკის დარბაზში აწყობს დიდ გამოფენას. გამოფენაში ასახული იქნება საბჭოთა ქვეყნის კულტურული ზრდა 20 წლის მანძილზე.

● **გამომცემლობა** „ფედერაცია“ შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გამოსაცემად ამზადებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კრებულს, მიძღვნილს შოთა რუსთაველისადმი.

● **6 აგვისტოს** ოდესის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ვ“ ჯგუფის საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. თამაშობდნენ ოდესის „დინამოს“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. შეჯიბრება მოგება ოდესის „დინამოელებმა“ ანგარიშით 3:2.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

8 აგვისტო

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: დებულება სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. დ. თოფურია, რუსულ ენაზე — ამხ. აფხაძე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: პოლიტიკური აგიტაციის დაყენება სსრკ-ის უზენაესი საბჭოს ახალი საარჩევნო სისტემით არჩევნებთან დაკავშირებით. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. პ. ჯიბლაძე, რუსულ ენაზე — ამხ. ბოლდირევი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საქ. ჯ. ჰ. (ბ) თბ. ორგანიზაციის კოროვის პარტკაბინეტი იტყობინება, რომ ა. წ. 6 აგვისტოს საღამოს 8 საათზე რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პროპაგანდისტებისა და პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება ამხ. ხლიაშჩევის მოხსენება თემაზე: „უცხოური არმიების უახლესი ტექნიკური საშუალებანი და მითითებანი ბრძოლაზე“.

○

— 8 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. ჰ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტიული განათლების სახლში შესდგება ამხ. ს. მაჭულაძის ხმოხსენება პარტკომების მდივნების, პარტორგებისა და პროპაგანდისტებისათვის შემდეგ თემაზე: „სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“.

○

სტამბა „კომუნისტთან“ არსებული პარტიული კომიტეტი უკანასკნელ წინადადებას აძლევს გრიგოლ მუშაშვილს გამოცხადდეს პარტკომში დღეს, 8 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე.

სარედაქციო კოლეგია

ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-40	ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ქართულ ენაზე
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	**დაკარგული სამოთხე**
26 კომუნ. სახელობის სახაფხ. 9, სახამთ. 6-30	რეჟისორი — დ. რონდელი ოპერატორი — ბ. ბურავლიოვი
კომინტერნი სახაფხ. 9, 11	ავტ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.
განთიადი 7, 9, 11	
დამკვრელი	სახაფხ. შენ. 9-15, 11. **დაკარგული სამოთხე** ქართულ ენაზე
კომკავშირელი	სახამთ. შენ. 7, 9, 11. **ანტონ ჰოლიცმეისტერი**
არხენა 7, 8-40, 10-20	სახაფხ. შენ. 9, 11 **დაკარგული სამოთხე** ქართულ ენაზე
ახალი ამბები	სახამთ. შენ. 7, 9, 11 ხმოვანი ფილმი **ცირკი**
	ხმოვანი ფილმი **ფედკა**
	კინო ჟურნალები № 32. საბჭოთა ხელოვნება № 5. **ზალთვოვების